საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 8 მაისი. 2019 წ. №90 (8756) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

სიბინძურის ახალი ნაკადი გვარამიას „ცრუსთავი-2“-დან!

„ცრუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებით, ტელეკომპანიის წილის 9%-ის მფლობელი ნინო ნიჟარაძე სხვა მეწილეებისგან 26 მილიონს ითხოვს. ის ამბობს, რომ ამ სარჩელით ნიჟარაძემ სასამართლოს მიმართა. გვარამია ამ ყველაფერს ტელევიზიაზე შეტევის ახალ ფაზად აფასებს.

„შემოვიდა 9%-ის მფლობელის ნინო ნიჟარაძის სარჩელი სხვა მეწილეების, პირადად ჩემი და „რუსთავი-2“-ის გაყიდვების სახლის წინააღმდეგ. ნინო ნიჟარაძე ითხოვს კომპენსაციას დაგროვილი გადასახადების სახით... ითხოვს 2015 წელს გამქრალ 10 მილიონ ლარს გაყიდვების სახლიდან. ითხოვს ჩემგან, რატომ გავზარდე უფასო პოლიტიკური რეკლამების ლიმიტი ოპოზიციის სასარგებლოდ და ამით კომპანიას ზიანი მივაყენე. ითხოვს მილიონ 600 ათას ლარს, რადგან სხვა მეწილეებმა (სხვა პირზე) გაყიდვის უფლება არ მისცეს. საერთო ჯამში, ითხოვს 26 მილიონ ლარს... დავა ქართულ სასამართლოშია შესული და მას ქოჩიაშვილი იხილავს, რომელიც სამოსამართლო კლანის წევრია“, — განაცხადა გვარამიამ.

გვარამია აცხადებს, რომ ამ ყველაფრის მიზანი „რუსთავი-2“-ის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლაა და ეს სარჩელი კონკრეტულად მას, ამ ყველაფრის გარანტს ეხება. გვარამია ამბობს, რომ მთავარი მოთხოვნა მისი, როგორც დირექტორის, უფლებამოსილების შეწყვეტა იქნება, რაც ქართულმა სასამართლომ ივანიშვილის დავალებით ბევრჯერ სცადა.

გვარამია ნინო ნიჟარაძეს სთავაზობს, ქართული სასამართლოდან სარჩელი გამოიტანოს და სხვა ნებისმიერ საერთაშორისო სასამართლოში შეიტანოს. გვარამიას თქმით, ამით ნიჟარაძე დაამტკიცებს, რომ ეს დავა ნამდვილად ორ კერძო პირს შორის არის...

გვარამიას ამ განცხადებას, როგორც მოსალოდნელი იყო, მოჰყვა ქართული ჟურნალისტიკის საყოველთაო სირცხვილის, „ცრუსთავი-2“–ის საგანგებო რეჟიმზე გადასვლა, ხელისუფლების ბინძური, არაადამიანური ლანძღვა-გინება და ნაციონალური ოპოზიციის ანტისახელმწიფოებრივი ბრალდებები „ქართული ოცნების“ მიმართ.

ბუნებრივია, მოღალატე, „დედამოკლული ყვავის“ ნიკა გვარამიას და მისი არამზადა მხარდამჭერების არაადეკვატურ განცხადებებს ქართველი ხალხი ყურსაც არ ათხოვებს, რადგან „ცრუსთავი-2“ უკვე სტრასბურგის სასამართლოსაც ყელში ამოუვიდა... ამის დამადასტურებელ დოკუმენტს, იმედია, ჩვენი ხალხი მალე მიიღებს და ნაცების რუპორს საკუთარ უსინდისობას ცხვირში ამოადენს!

პრეზიდენტის პოზიცია: სიტყვის თავისუფლებას საფრთხე არ დაემუქრება!

„მთავარია, სიტყვის თავისუფლება იყოს დაცული. გამოყენებული იქნება ყველა კანონიერი რესურსი, რომ სიტყვის თავისუფლება იყოს ხელშეუხებელი“, — ასე გამოეხმაურა პრეზიდენტის პრესსპიკერი „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ დაწყებულ ახალ შეტევას და სამაუწყებლო კომპანიის 9%-იანი წილის მფლობელის ნინო ნიჟარაძის სარჩელს.

მაია ცქიტიშვილი: ეს არის სცენარი „რუსთავი-2“-ის მხრიდან

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ წამოწყებულ ახალ სასამართლო დავას გამოეხმაურა.

„ეს შეტევა „რუსთავი 2“-ზე კი არ არის, არამედ არის სცენარი „რუსთავი 2“-ის მხრიდან, თითქოს რაღაც შეტევას აქვს ადგილი. „რუსთავი-2“ არაერთხელ აანონსებს რაღაც შეტევებს ტელეკომპანიაზე, მაგრამ ამავე პერიოდის განმავლობაში „რუსთავი-2“-ს აქვს შეუზღუდავი საშუალება, გამოხატოს საკუთარი აზრი. მეტსაც გეტყვით, აზრის გამოხატვა სცდება ყოველგვარ ეთიკურ და მორალურ ნორმებს, მათ შორის, ლანძღვა-გინება პირდაპირი ეთერის საშუალებით“, — განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

კახა კალაძე: ჩვენ გვაქვს ზედემოკრატია და ზეთავისუფლება!

„ჩვენ გვაქვს ზედემოკრატია და ზეთავისუფლება,“ — ამ განცხადებით „ქართული ოცნების“გენერალური მდივანი კახა კალაძე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ კომპანიის 9%-იანი წილის მფლობელის ნინო ნიჟარაძის სარჩელს გამოეხმაურა.

კალაძე ამბობს, რომ არ ფლობს ინფორმაციას სარჩელის შესახებ და არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ხელისუფლება დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლას ცდილობს.

„სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ ვიცი, რა სარჩელზეა ლაპარაკი. დღეს საქართველოში ჩვენ გვაქვს თავისუფლება და ყველა ტელევიზია, ყველა ჟურნალისტი აბსოლუტურად ხელშეუხებელია. თქვენ არავინ არაფერს არ გიზღუდავთ და ამის ძალიან ბევრი ნათელი მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ, თუნდაც ბოლო დღეების სიუჟეტები, მე ვერ ვხედავ ამის პრობლემას, რომ საქართველოში ვინმე ვინმეს ზღუდავდეს. პირიქით, ჩვენ გვაქვს ზედემოკრატია და ზეთავისუფლება“, — განაცხადა კახი კალაძემ.

წყალი საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის

ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმე

4

რატომ ვეთამაშებით ქართულ მიწას?!

6

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „პანკისისტანში“!

3

ხეობის ორი ფერი

სალომე ზურაბიშვილი პოლონეთში

პოლონეთში, საქართველოს პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სალომე ზურაბიშვილი პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ანდჟეი დუდას შეხვდა. ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს. **პრეზიდენტებმა მოლაპარაკებები პირისპირ და დელეგაციების თანხლებით, გაფართოებულ ფორმატში გამართეს.**

მხარეებმა საქართველო-პოლონეთის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე ისაუბრეს, რომელიც წლების განმავლობაში დინამიკურად ვითარდება.

მხარეებმა პოლონეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების 100 წლის იუბილეზე გაამახვილეს ყურადღება და აღნიშნეს, რომ ეს თარიღი კიდევ ერთხელ ცხადყოფს საქართველო-პოლონეთის მყარ, სტაბილურ ურთიერთობებსა და საერთაშორისო ასპარეზზე ნაყოფიერ თანამშრომლობას.

მხარეებმა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების შესახებ ისაუბრეს და საქართველოს პრეზიდენტმა ანდჟეი დუდას ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

საუბარი შეეხო ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებს და სალომე ზურაბიშვილმა კიდევ ერთხელ დასვა, ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატის გაძლიერების საკითხი. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საჭიროა, აღნიშნული ფორმატის მაღალ, პოლიტიკურ დონეზე აყვანა.

ხაზი გაესვა საქართველოს ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისათვის ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისა და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების მნიშვნელობას. საქართველოსთვის საინტერესოა სამი ზღვის — შავი, ბალტიისა და ხმელთაშუა ზღვის ინიციატივაში მონაწილეობა, რაც ასევე საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი გახდება.

როგორც საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესზე საუბრისას აღინიშნა, მნიშვნელოვანია, რომ 2019-2020 წლებში, პოლონეთის საელჩო საქართველოში ნატოს საკონტაქტო საელჩოს ფუნქციას ასრულებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით.

აღინიშნა, რომ საქართველოსათვის საინტერესო მაგალითია პოლონეთის სახელმწიფო მოწყობა და დეცენტრალიზაცია, რადგან რეგიონთა შორის ურთიერთობა საქართველოს განვითარებისათვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.

სუს-ის უფროსს ახალი მოადგილე ჰყავს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ შენგელი ფიცხელაური დაინიშნა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ დანიშვნამდე, შენგელი ფიცხელაური შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველი იყო. შენგელი ფიცხელაური წლების განმავლობაში ძალოვან უწყებებში სხვადასხვა თანამდებობებს იკავებდა.

გამწვანების მასშტაბური აქცია დედაქალაქში

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისის მერიის, საპატრიარქოს ფონდის — **„გაამწვანე საქართველო“ და თბილისის საკრებულოს ერთობლივი გამწვანების აქცია გაიმართა. ღონისძიებაში დედაქალაქის მერი კახა კალაძე მერის მოადგილე მაია ბითაძესთან ერთად ჩაერთო და ხეების დარგვაში მონაწილეობა მიიღო.**

ტერიტორიის გასამწვანებლად საპატრიარქოს ფონდმა — „გაამწვანე საქართველო“ და საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა რევაზ სოხაძემ მუნიციპალიტეტს ჯამში დაახლოებით 2000 ძირი ფიჭვი გადასცეს, რომლის მოვლა-პატრონობას, დარგვის შემდეგ, თბილისის მერიის შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ უზრუნველყოფს. გამწვანების აქციაში ასევე მონაწილეობდნენ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს დეპუტატები, სამგორის რაიონის გამგებელი კახა გულედანი, სასულიერო პირები, რამდენიმე ქვეყნის ელჩი და დიპლომატიური კორპუსის წევრები, შეიარაღებული ძალებისა და სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლები, ასევე, ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ტალახაძე.

იოსებ გოგაშვილი მამის საფლავზე უნდა აეფეთქებინათ!

„მალხაზ მაჩალიკაშვილის მიმართ განხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები“

მალხაზ მაჩალიკაშვილის საქმე — სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ბრიფინგი გაიმართა:

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოსახლეობისათვის ტერორისტული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით წარმოებული ღონისძიებების ფარგლებში გამოავლინა მალხაზ მაჩალიკაშვილის განზრახვა ტერორისტული აქტის ორგანიზების გზით რამდენიმე პირის მკვლელობის თაობაზე.

გვინდა, ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ აღნიშნული უმძიმესი დანაშაული თავიდან იქნა აცილებული უშუალოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ძალისხმევის შედეგად.

მოგეხსენებათ, რომ სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობით მიკუთვნებულ დანაშაულთა გამოვლენის, აღკვეთის და გამოძიების გარდა, ამ დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულ დეპარტამენტში ამჟამად გამოკითხვაზე იმყოფება მალხაზ მაჩალიკაშვილის ძმისშვილი, მორის მაჩალიკაშვილი, რომელიც მალხაზ მაჩალიკაშვილის გეგმის მიხედვით, ჩართული უნდა ყოფილიყო აღნიშნული ტერორისტული აქტის განხორციელებაში.

საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრში 2018 წლის 1 ივნისს დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს ტერორისტული აქტის მომზადების და ტერორისტული მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის ან/და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 18,323-ე და 3231-ე მუხლებით.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ქალაქ თბილისში პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე, 2018 წლის 31 მაისს მალხაზ მაჩალიკაშვილის მიერ საჯაროდ გაკეთებული მუქარის შემცველი განცხადება, რომლის თანახმადაც იგი და მასთან მყოფი პირები, რომლებსაც, მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადებით ფიცი ჰქონდათ მიცემული, მზად იყვნენ, შეეღწიათ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობაში და თავი აეფეთქებინათ.

გამოძიების ფარგლებში, ინფორმაციის გადამოწმებისა და მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით, შესაბამისი სასამართლო განჩინებების საფუძველზე განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის: სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა, ფარული ვიდეო/აუდიო ჩაწერა და ფოტოგადაღება.

პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად ცნობილი გახდა, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილს განზრახული ჰქონდა ტერორისტული აქტის ჩადენა.

დანაშაულებრივი განზრახვის თანახმად, ტერორისტული აქტის ჩადენა იგეგმებოდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი პირველი მოადგილის იოსებ გოგაშვილის მამის საფლავზე, იოსებ გოგაშვილის და მისი თანმხლები პირების მისვლის დროს, რასაც მოჰყვებოდა მათი და სხვა მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფა.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის ცნობილი გახდა მალხაზ მაჩალიკაშვილის დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ, ამ დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, საქმის სავარაუდო ფიგურანტების, მჭიდრო ოპერატიული მეთვალყურეობის ქვეშ აყვანის პარალელურად, გატარდა პრევენციული ხასიათის სხვა ღონისძიებებიც, მათ შორის უსაფრთხოების ზომები გაძლიერდა იოსებ გოგაშვილისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ.

გამოძიების ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებებით, უტყუარად დასტურდება, რომ 2019 წლის 23 მარტს უშუალოდ მალხაზ მაჩალიკაშვილმა მისცა მითითება მორის მაჩალიკაშვილს, რათა ეს უკანასკნელი ჩამოშორებულიყო ყველა სხვა საქმიანობას და ემუშავა მხოლოდ ერთ პიროვნებაზე — იოსებ გოგაშვილზე. მორის მაჩალიკაშვილს უნდა დაედგინა იოსებ გოგაშვილის საცხოვრებელი მისამართები, გადაადგილების მარშრუტები და, აგრეთვე, გამგზავრებულიყო სოფელ ზემო მაჩხაანში სასაფლაოზე, რათა დაედგინა იოსებ გოგაშვილის მამის საფლავის ადგილმდებარეობა და გადაეღო ფოტოები, ხოლო მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მალხაზ მაჩალიკაშვილი დაგეგმავდა სხვა ქმედებებს.

დღესვე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოკითხვაზე იმავე მიზნით იყო დაბარებული მალხაზ მაჩალიკაშვილი და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გავითვალისწინეთ მისი ადვოკატების თხოვნა, გამოკითხვა 4 მაისის ნაცვლად, 7 მაისს ჩატარებულიყო, მალხაზ მაჩალიკაშვილმა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებაზე კვლავ უარი განაცხადა. შესაბამისად, მის მიმართ განხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით ასეთი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები.

საქმეზე გამოძიება გრძელდება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მომავალშიც განაგრძობს საზოგადოების ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე“, — განაცხადეს სუს-ში.

საპატრიარქომ დავით-გარეჯის საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანის ელჩთან შეხვედრა გამართა

საქართველოს საპატრიარქომ დავითგარეჯის საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანის ელჩთან და სრულიად კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელის წარმომადგენელთან შეხვედრა გამართა.

ამის შესახებ საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი, მამა ანდრია ჯაღმაიძე წერს:

„საპატრიარქო გარეჯის მონასტერთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში ინტენსიურად იქნება ჩართული. 4 და 5 მაისს საპატრიარქოში შედგა შეხვედრა აზერბაიჯანის ელჩთან დურსუნ ჰასანოვთან და სრულიად კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელის ფაშა ზადეს წარმომადგენელთან ალი ალიევთან. საკითხი ეხებოდა დავით გარეჯთან დაკავშირებულ ვნებათაღელვას. საუბარში ხაზგასმით ითქვა, რომ ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობას ესაჭიროება მოფრთხილება და დაუშვებელია დაძაბულობის გაღვივება, რომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსი უმნიშვნელოვანესი ქართული სიწმინდეა და შექმნილი პრობლემების გადაწყვეტა უნდა მოხდეს სასწრაფოდ“, — წერს მამა ანდრია ჯაღმაიძე.

„ალი ალიევი პატრიარქსაც შეხვდა შემდგომში და ეს შეხვედრა იყო ძალიან თბილი. საუბარი შეეხო ბოლო დროს დავითგარეჯის მონასტერთან დაკავშირებულ და განვითარებულ მოვლენებს.

მათ აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში საპატრიარქოს პოზიცია, ვინაიდან ზოგიერთმა გამონათქვამმა საკმაოდ დაძაბა ვითარება. ამიტომ, მათ ისურვეს, რომ საპატრიარქო იყოს ინტენსიურად ჩართული ამაში.

თუმცა საპატრიარქოს პოზიციაც ეს არის, რომ, რადგანაც დროდადრო ეს პრობლემა ჩნდება, უნდა გადაწყდეს საბოლოოდ, დასრულდეს ეს საზღვრის დემარკაციის პროცესი და საპატრიარქო ინტენსიურად მიადევნებს თვალს ამ პროცესს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი იმყოფებოდა ბაქოში და რომ ჩამობრძანდა, იყო განცხადება, რომ ეს კომისია განახლდება და უფრო ეფექტურად იმუშავებს. რაც შეეხება ვადებს, რთულია ვადებზე ლაპარაკი, მაგრამ ვითარება მოითხოვს, რომ სწრაფად მიმდინარეობდეს ეს პროცესი“.



◎ ხეობის ორი ფერი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „პანკისისტანში“!

ბოლო წლებში გახშირდა პუბლიკაციები, რომლებიც ნათელ ფერებში აღწერს, რა უსაფრთხო და სტუმართმოყვარე გახდა პანკისის ხეობა, თუ როგორი კეთილი და დახმარებისთვის მუდამ მზად მყოფი ადამიანები ცხოვრობენ იქ და საკუთარ გესტჰაუსებსა და საკემპინგო ადგილებზე ელიან ფულიან ტურისტებს. ყველაფერი ეს რომ სასაცილო სიყალბეა, დამტკიცდა ამა წლის ბზობის კვირას, როდესაც „მშვიდობისმოყვარე“ და „ტურისტული“ რეგიონი სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა.

არადა, გესტჰაუსების მფლობელები ყვებოდნენ, რაოდენ მშვიდი გახდა მათი ხეობა, თუმცა მორიდებით იმასაც დასძენდნენ ხოლმე, რომ ჩამოსულმა ტურისტმა დაუსახლებელ ადგილებში, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებთან ურთიერთობისას, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა გადაურჩეს ცემასა და ძარცვას.

მცირერიცხოვანი ექსტრემალი ტურისტები აღწერენ მწირ ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს. განსაკუთრებით აღფრთოვანებულნი არიან, რომ „წვეროსანმა მამაკაცმა ნება დაგვრთო, გადაგვეღო ვაჰაბიტების მეჩეთი“. არავის აფიქრებს ფაქტი, რომ არსად ცივილიზებულ სამყაროში არ არსებობს აუცილებლობა, ვინმეს ჰკითხო ნებართვა მეჩეთის ან ეკლესიის გადაღების გამო.

დარწმუნებული ვარ, ამ ტურისტებს საერთოდ არ გაუჩნდებოდათ სურვილი, გასაუბრებოდნენ „თავაზიან წვეროსანს“, რომ სცოდნოდათ, რომ იგი სულ რაღაც ნახევარი წლის წინათ სირიის უდაბნოში შეიარაღებულ ფანატიკოსთა ბრბოსთან ერთად სხვა სარწმუნოების უიარაღო ადამიანებს დასდევდა. პანკისის ხეობაში ასეთი „გმირები“ მრავლად მოიპოვებიან. ზოგი მათგანი ცდილობს, არ მიიქციოს ყურადღება. ისინი წვეულებებსა და გასვენებებზეც კი არ უერთდებიან შეკრებილ ხალხს.

სხვები, პირიქით, სულ ჩანან. ხდებიან წარმატებული ბიზნესმენები, როგორც, მაგალითად, ძმები ფარეულიძეები, რომლებიც ერთდროულად ორთოდოქსი ვაჰაბიტები და უხვშემოსავლიანი ბიზნესმენები არიან.

ამჟამად პანკისში სათემო ძალაუფლების მორიგი ცვლილება იკვეთება. ხელისუფლების მხარდაჭერით შექმნილმა უხუცესთა საბჭომ მთლიანად დაკარგა ისედაც მწირი გავლენის ბერკეტები 1980-იან წლებში დაბადებულთა სასარგებლოდ, რაც მთის ხალხისთვის ზოგადად არ არის დამახასიათებელი.

ამ თაობის ღირსშესანიშნავი წარმომადგენელია 33 წლის **ასჰაბ იდრისეს ძე ფარეულიძე**, რომელმაც სასულიერო განათლება საუდის არაბეთში მიიღო. 2017 წლის ბოლოს და 2018 წლის დასაწყისში მან პანკისის „ჯამაათის“ „ამირას“ წოდება მიიღო. იგი პასუხისმგებელია ე.წ. „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ახალი ბოევიკების მოზიდვასა და დაქირავებაზე. მან 2018 წლის ზაფხულში შეძლო რეკრუტთა პირველი პარტიის გაგზავნა სირიაში. მათ შორის გახლდათ 23 წლის ყოფილი სამხედრო (საქართველოს შეიარაღებული ძალების 2014-15 წ.წ. გაწვევის) ისა **იუსუფის ძე ხანგოშვილი**.

ასჰაბ ფარეულიძის წინამორბედი, მისი გვარის წარმომადგენელი ალი ფარეულიძე, სირიაში 38 წლის ასაკში მოხვდა — როგორც მეზობელი სოფლების მცხოვრებნი ყვებიან, დანაშაულის გამოსყიდვის გამო. მისი დანაშაული მდგომარეობდა იმაში, რომ სირიიდან „პანკისის ჯამაათისთვის“ წამოსულ თანხებს იტაცებდა, სავსებით ბანალურად. ჩვენი სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა აღნიშნეს კიდეც, რომ ალი ფარეულიძემ ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ახალწვეულთა რაოდენობის შემცირება გამოიწვია.

პანკისის ხეობაზე თვალის ზერელედ გადავლებაც საკმარისია, მივხვდეთ, რომ აქაური ცხოვრება ძალიან დაშორებულია იდილიური სურათისგან, როგორც ამას ტურისტული საგენტოები ხატავენ უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების მოსაზიდად. **სამწუხაროდ, ამ რეგიონის სამასიოდე ახალგაზრდა მონაწილეობდა ახლო აღმოსავლეთის ტერორისტულ ორგანიზაციებში და მათ აქვთ პარტიზანული ომის წარმოების გამოცდილება. მათი ნაწილი დღემდე იბრძვის — უკვე არა მხოლოდ სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე, არამედ სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, უკრაინასა და ავღანეთში.**

ამათ დავუმატოთ კიდევ უფრო ბევრად აღმატებული რაოდენობა პოტენციურად დამნაშავე ელემენტებისა, რომელთაც გაისისხლხორცეს რადიკალური შეხედულებები, რომლებიც ქედმაღლურად უყურებენ როგორც ქრისტიანებს, ისე ტრადიციული ისლამის წარმომადგენლებს (და ქვეყნიდან საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, ვერ მოახერხეს გასვლა მიზეზთა გამო ან ჯერ კიდევ მოზარდი ასაკისანი არიან), მაშინ უფრო ადვილი გასაგები ხდება, რაოდენ სერიოზულია სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მათგან მომდინარე საფრთხე. ვაჰაბიზაციის გზით შუა საუკუნეებში გადატყორცნილი ქისტების რეინტეგრაციის პერსპექტივა კი, უახლოეს პერსპექტივაში, სამწუხაროდ, არ ჩანს შესაძლებელი.

პრობლემა უნდა გადაწყდეს კომპლექსური მიდგომით, როდესაც მკაცრ საპოლიციო და საკანონმდებლო ღონისძიებებთან ერთად გადაიდგმება თანამიმდევრული ჰუმანიტარული ნაბიჯები. ჩემი აზრით, აუცილებელია, **ეგრეთ წოდებულ „ამირებს“ მაქსიმალურად შეეზღუდოთ გავლენა, „ამირას“ წოდება ისევე უნდა ისჯებოდეს, როგორც „კანონიერი ქურდის“ წოდება**. აუცილებელია, ბნელეთის მოციქულთა გამოვლინების ნებისმიერი მაგალითი აღიკვეთოს, ისევე, როგორც, დაუშვებლად გამოცხადდეს სხვისთვის საკუთარი ცხოვრების წესის მოხვევის ნებისმიერი მცდელობა. ყოველივე ამას თან უნდა ახლდეს სასულიერო პირებთან მუშაობა, მოგვარდეს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, გამოჩნდეს დასაქმების რეალური შესაძლებლობა და ა.შ.

პროცესი გრძელვადიანია, მაგრამ მისი დაწყება ჯერ კიდევ გუშინ უნდა მომხდარიყო.

პრინციპული და ჯანსაღი ნაბიჯების გადადგმა არასოდეს არ არის გვიან!

გულბაათ რცხილაძე

ᲬᲧᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ბატონ რომან რურუას მეტად საინტერესო სტატიას „ვიდრე მქონეთა და არამქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ!“

ქართველთათვის კარგადაა ცნობილი ბატონი რომანის წარმატებები სპორტში და შემდგომ კი — ბიზნესში, მაგრამ, ბატონი რომანი თუ ასე ღრმად იყო ჩახედული ანტიკურ ფილოსოფიურ ნააზრევში, ეს ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

ბატონი რომანი ზემოაღნიშნულ სტატიაში საუბრობს სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ მოძრაობის მიზანზე და მიზნის მიღწევის გზებზე, აგრეთვე იმ ეკონომიკურ შედეგებზე, რისი მიღწევაც შესაძლებელია უახლოეს მომავალში, თუკი სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობას“ მიეცემა საშუალება, განახორციელოს თავისი მიზნები. როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელი მსოფლიო განიცდის სასმელი წყლის დეფიციტს, ხოლო საქართველოში მოიპოვება მიწის ქვეშა წყლების მარაგი. ჩვენ თუ გადავხედავთ ქართველ მეცნიერთა ჯგუფის შრომებს (პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით შემუშავებულ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის უმძიმესი ცხოვრების პირობების დაძლევის კონცეფცია-პროგრამებს), ამაში ადვილად დავრწმუნდებით. ამ მისიის პრაქტიკული განხორციელებისთვის კი აუცილებელია მოსახლეობის გაერთიანება ამ იდეის გარშემო.

მინდა, შეგახსენოთ ერთი პატარა მოვლენა საქართველოს ისტორიიდან: როდესაც დავით აღმაშენებელი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ქვეყანა დაქსაქსული იყო და გათითოკაცებული. დავითს ერის გაერთიანების სურვილი ჰქონდა, მაშინ მას ურჩია მისმა გამზრდელმა გიორგი ჭყონდიდელმა, ხალხისთვის დაებრუნებინა ღირსება.

ჩვენი აზრით, სწორედ ზემოთ აღნიშნულ მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის განხორციელება დაუბრუნებს მოსახლეობას ღირსებას.

ბუნებრივი რესურსებიდან საქართველოს ერთადერთი კონკურენტუნარიანი პროდუქტი სასმელი წყალი აქვს. არც ნავთობი და არც გაზის საექსპორტო მარაგი არ გაგვაჩნია. ქართველი მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ პროექტზე, რომლითაც ქართულ წყალს მსოფლიო ბაზარზე გაიტანენ, საქართველო კი წყლის მიმწოდებელ დონორ ქვეყნად ჩამოყალიბდება.

მეცნიერთა გაანგარიშებით, ეს არის პროექტი, რომელსაც ყოველწლიურად 12 მილიარდი აშშ დოლარი მოგება ექნება! ზემოთ აღნიშნული კონცეფციის ავტორთა ჯგუფის გაანგარიშების მიხედვით, საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში 150-დან 190-მდე მინი საწარმო აშენდება, სადაც ხალხი დასაქმდება მუნიციპალურ ქარხნებში. საწარმოები ყოველწლიურად 50 მილიონ ტონა დაფასოებულ სასმელ წყალს ჩამოასხამენ.

მსოფლიო გლობალური დათბობის პირობებში სასმელი წყალი გაზსა და ნავთობზე ძვირფასი პროდუქტია, ვინაიდან წყალი განახლებადი ბუნებრივი რესურსია. როგორც წყლის ინდუსტრიის პროექტის ავტორები ირწმუნებიან, ეს მატერიალური ფასეულობა 2 ტრილიონ დოლარზე მეტს შეადგენს, ხოლო ინდუსტრიის ამუშავებით ყოველწლიურად 12-მილიარდი დოლარის შემოსავალს მივიღებთ. მოგეხსენებათ, დღეს მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა 8 მილიარდამდეა, რომლებსაც 20 მილიარდამდე ლიტრი წყალი ესაჭიროებათ ყოველდღიურად. შესაბამისად, ყველა პირობა გაგვაჩნია, საერთაშორისო მასშტაბით წყლის დეფიციტი შევავსოთ.

როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიო ბაზარზე წყლის ძირითადი მიმწოდებლები საფრანგეთი და იტალიაა. აქვე იბადება კითხვა, შეგვიშვებენ თუ არა მსოფლიოს წყლის ბაზარზე ზემოთ აღნიშნული ქვეყნები? საფრანგეთის და იტალიის წყლის რესურსების პოტენციალი შედარებით მცირეა, ის მსოფლიო ბაზარს ვერ აკმაყოფილებს. ეს ქვეყნები წელიწადში მხოლოდ 45-დღიან დეფიციტს ავსებენ. 4-5 მილიარდი ადამიანი წყლის უმკაცრესი დეფიციტის პირობებში ცხოვრობს და ყოველდღიურად დამატებით 12 მილიარდ ლიტრს საჭიროებს!

წყლის ინდუსტრიის პროექტის ავტორების გაანგარიშებით, საქართველოში წელიწადში 50 მილიარდი ლიტრი წყლის ჩამოსხმით, საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ მხოლოდ 5 დღით. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები თუ ითანამშრომლებენ ჩვენთან, მათ შორის, იტალია და საფრანგეთი, რათა საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა განვითარდეს, სასმელი წყლის მიწოდების გაორმაგებას შევძლებთ.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲒᲓᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ, ᲐᲨᲔᲜᲓᲔᲡ 190 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲛᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲤᲐᲡᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲘ

ᲮᲐᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲡ ᲐᲗᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ.

მოძრაობის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის სიდუხჭირიდან გამოყვანა, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება!

ახლა მთავარია, საზოგადოებას აღვუდგინოთ ერთიანობის განცდა დასახული მიზნის მისაღწევად.

როდესაც ნახევარ მილიონამდე მოქალაქე დასაქმდება და ყოველთვიურად შემოსავალი ექნება თითოეულ დასაქმებულს 1500 დოლარის ფარგლებში, რა თქმა უნდა, გაიზრდება მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა და ჯაჭვური რეაქციით დაიწყება ეროვნული ეკონომიკის აღორძინება, განათლების, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის არნახული განვითარება, ქვეყნიდან შეწყდება მიგრაცია უცხოეთში, დღეისთვის რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი შრომისუნარიანი მოქალაქე გასულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაოდ.

სამუშაო ადგილების შექმნა არა მარტო გადამწყვეტ როლს ითამაშებს თანამოქალაქეების უცხოეთიდან დაბრუნებაში, არამედ დადებით როლს შეასრულებს უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტაში. დაიწყება დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება.

ქართველი დაიბრუნებს ღირსებას, რაც ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი გახდება ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისთვის.

როგორც პროექტის ავტორები აღნიშნავენ, წყალი განახლებადი რესურსია, ამისთვის კი საჭიროა ხელოვნური ტყის საფარის განაშენიანება, რაც არამარტო წყლის განახლებას შეუწყობს ხელს, არამედ ეკოლოგიურადაც გააჯანსაღებს ბუნებას.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს პრინციპი, რომ ეროვნული შემოსავალი ნაწილდება თანაბრად, მაგალითად, შვედეთში დაგეგმილია, რომ ბუნებრივი წიაღისეულის რეალიზებიდან მიღებული მოგების გადანაწილების გზით ყოველ ახალდაბადებულს ყოველწლიურად 2400-3500 ევრო პირად ანგარიშზე ერიცხება. ქართული წყლის პროგრამის ავტორები გვთავაზობენ, რომ ამ იდეის ხორცშესხმისთვის საჭიროა 18 თვე, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქე გახდეს სააქციო საზოგადოების წევრი და მიიღოს იმის გარანტია, რომ 45000 აშშ დოლარის შემოსავალი გადაეცემა ყოველწლიურად.

წყლის ინდუსტრიის პროექტის ამოქმედება ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეა!

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲓᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲦᲣᲚᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲣᲚᲝᲑᲡ!

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ მოხმარება ბოლო წლებში საშუალოდ 5%-ით გაიზარდა, მაგრამ 2018 წელს მატებამ ერთბაშად 8% შეადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ გენერაცია ვერ ეწევა მოხმარებას და სულ სხვა რაღაცის ხარჯზე უნდა მოხდეს ელექტროენერგიის მიწოდების დაკმაყოფილება. განსაკუთრებით საშიში გახდა კრიპტოვალუტების მეშვეობით ელექტროენერგიის მოხმარების არანორმალური ზრდა.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მონაცემებით, მიმდინარე წლის მარტში, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ელექტროენერგიის იმპორტი 23%-ით გაიზარდა და 208.869 მლნ კვტ.სთ შეადგინა.

ესკო-ს ინფორმაციით, გასულ თვეს საქართველო იმპორტირებული ენერგიით რუსეთიდან (64.778 მლნ კვტ.სთ) და აზერბაიჯანიდან (144.091 მლნ კვტ.სთ) მარაგდებოდა.

„გენერაციის მხარეს თუ შევხედავთ, 7 გენერაციის ობიექტი შევიდა ექსპლოატაციაში. ჯამური სიმძლავრე არის 65 მეგავატი და ზოგადად გენერაციაში ზრდა გვაქვს 2%-მდე.

მიუხედავად ამისა, ქვეყანა ხდება იმპორტდამოკიდებული და ეს იმპორტდამოკიდებულება იზრდება წლიდან წლამდე, რადგან ადგილობრივი გენერაცია ვერ ეწევა მოხმარებას და იზრდება იმპორტი“, — აცხადებს სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავა.

ეს რეალურად ასეცაა, რადგან 2016 წელთან შედარებით იმპორტი სამჯერ გაიზარდა. ეს კი სერიოზული სიგნალია იმისთვის, რომ ასე გაგრძელება არაფრით არ შეიძლება.

„30%-ს აღწევს კონკრეტულ თვეებში იმპორტის წილი, ანუ 30%-ით ვართ დამოკიდებული მეზობელი ქვეყნის ენერგომატარებლებზე. აქაც თუ ჩავრთავთ თბოელექტროსადგურების კომპონენტსაც, რომლებიც ასევე იმპორტირებულ გაზზე მუშაობენ, წარმოიდგინეთ რამხელაა ჩვენი ენერგოდამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებზე“, — განუცხადა „ბიემს“ მილორავამ.

ერთ-ერთი დიდი პრობლემა ბოლო წლებში კრიპტოვალუტა და მისი მაინინგია. სწორედ მისი გამომუშავებისა და მწირე თუ დიდი კრიპტოფერმების მეშვეობით მოიმატა არანორმალურად მოხმარების მაჩვენებელმა. არსებობს გაანგარიშება, რომ შარშანდელ 8%-იან მატებაში თითქმის ნახევარი ციფრული ვალუტის გამომუშავებაზე მოდის.

მარეგულირებელს არა აქვს ინფორმაცია, ელექტროენერგიის მოხმარების მთლიან მაჩვენებელში რამდენია ელექტრონული ფულის მაინინგის წილი, რადგან ცალკე ეს საწარმოები განსხვავებული კრიტერიუმებით არ რეგისტრირდებიან.

„ისინი განსხვავებულ რეგულაციაში არ ექცევიან, ამდენად ვიცით რამდენიმე მსხვილი მომხმარებელი და უნდა შევაფასოთ მათი გავლენა. მაგალითად, ვიცით, რომ ერთ-ერთი მსხვილი მაინინგ საწარმო მოიხმარდა 300 მლნ კილოვატსაათს წლიურად.

წინა წლებში, როცა მაინინგის თემა საერთოდ არ იყო აქტუალური, მაშინაც მაღალი იყო ელექტროენერგიის მოხმარება, 5% -იანი იყო ზრდა. 8%-იანი ზრდა გვაქვს ბოლო წლებში, მოდით, ვთქვათ, რომ ეს 3% არის მაინინგის ზრდა, თუმცა დადასტურებულად ამას ვერავინ იტყვის, მაგრამ მაინინგამდე ვიცით, რომ 5%-იანი ზრდა გვქონდა ელექტროენერგეტიკულ სექტორში“, — აცხადებს მილორავა.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ **საუკუნის წინათ, 1919 წლის 10 მაისს, საქართველოში კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის სკოლის ფუძემდებლის, ბატონი სიმონ ყაუხჩიშვილისა და ქალბატონი თამარ იშხნელის ოჯახში ქალიშვილი — თინათინი დაიბადა. სამშობლოს სიყვარულსა და ქართული სიტყვის მადლს ის ბავშვობიდან ეზიარა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ პირველი სკოლის (თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი შრომითი სკოლა) წარჩინებით დამთავრებისთანავე (1936 წ.), ქალბატონი თინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე უგამოცდოდ ჩაირიცხა.**

ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲧᲐᲣᲮᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ - 100

უნივერსიტეტში ქალბატონი თინას პედაგოგები იყვნენ ქართველოლოგიური დარგების თვალსაჩინო წარმომადგენლები: ივანე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი, ვარლამ თოფურია, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები. მათ რჩევა-დარიგებებს ქალბატონი თინა ჩვეული გულისხმიერებით ეკიდებოდა...

1941 წელს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თინათინ ყაუხჩიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტი გახდა. მან სპეციალობად ბერძნულ-ქართული ფილოლოგია აირჩია. ბეჯითი შეგირდის სამეცნიერო ხელმძღვანელობა მამამ — სიმონ ყაუხჩიშვილმა იკისრა.

1945 წლის 6 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, რომელსაც აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია თავმჯდომარეობდა, თინათინ ყაუხჩიშვილს ნაშრომისათვის „მასალები ᲥᲐ-ს ისტორიისათვის (VI-X სს-ის ძეგლების მიხედვით)“ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა. თითქმის იმავე დროიდან ქალბატონმა თინამ თავისი სამეცნიერო — კვლევითი საქმიანობა ამავე ინსტიტუტს დაუკავშირა და გარდაცვალებამდე, ათწლეულების განმავლობაში, ნაყოფიერად იღვაწა ჯერ უმცროსი, შემდეგ უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე.

1953 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა სამეცნიერო საბჭომ (იმავე წლის 28 ნოემბერს კი უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ) თინათინ ყაუხჩიშვილს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა. მონოგრაფიამ — „ბერძნული წარწერები საქართველოში“ (თბ., 1951) არამარტო ოფიციალური ოპონენტების (კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, ივანე ტოლსტოი) უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, არამედ იმთავითვე საყოველთაო აღიარება მოიპოვა (ნიკოლოზ ბერძენიშვილი, შალვა ამირანაშვილი და სხვა).

1979 წელს — თინათინ ყაუხჩიშვილი საქართველოს უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს აკადემიკოსად აირჩიეს.

თინათინ ყაუხჩიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა სახელმწიფო და აკადემიურმა საზოგადოებამ სათანადოდ დააფასა. ჯერ კიდევ 1975 წელს მან საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიიღო, ხოლო 1999 წელს — „ღირსების ორდენი“; 2008 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ქალბატონ თინას აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის პრემია მიანიჭა.

1956 წლიდან მოკიდებული ქალბატონი თინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მოქმედი სადისერტაციო საბჭოების წევრი იყო და არაერთ ქართველ თუ უცხოელ ფილოლოგსა და ისტორიკოსს დაულოცა გზა მეცნიერებისაკენ. 1971 წელს იგი მე-18 საუკუნის გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის იოჰან ვინკელმანის სახელობის სამეცნიერო საბჭოს წევრად აირჩიეს.

თინათინ ყაუხჩიშვილი ქართული კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის სკოლის გამორჩეული წარმომადგენელია. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან ღირსეულად გააგრძელა მამის, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის და თავისი დიდი მასწავლებლების ტრადიციები და მრავალწლიანი კვლევა-ძიების შედეგად უაღრესად მრავალმხრივი და მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა.

თინათინ ყაუხჩიშვილი ასობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მეცნიერის ინტერესთა სფეროში პირობითად სამი ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ: ა) ქართულ-ბერძნული ენობრივი ურთიერთობები; ბ) ბერძნული ეპიგრაფიკა; გ) საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ ამ ურთულეს სფეროს ქალბატონმა თინამ თავისი შთამბეჭდავი კვალი დაატყო.

ქართულ-ბერძნული ენობრივი ურთიერთობების საკითხები განხილულია თინათინ ყაუხჩიშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომში „მასალები ᲥᲐ-ს ისტორიისათვის (VI-X სს-ის ძეგლების მიხედვით)“, სტატიებში: „ὕιος ἀρρην ძე წული (ენიმკის მოამბე, XIV, თბ., 1944); ზოგიერთი კავშირისა და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1946); კომპოზიტები ძველ ქართულში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 47, თბ., 1952) და სხვა. ამ ნაშრომებში სიღრმისეულადაა შესწავლილი ბერძნულიდან და სომხურიდან ნათარგმნი ქართული წერილობითი ძეგლების ენობრივი პლასტები, ამ ენათა გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შედგენილობის საკითხები. ქალბატონი თინას მეცნიერული დასკვნები მეტად მნიშვნელოვანია ქართულ-ბერძნული ენობრივი ურთიერთობებისა და ძველი ქართული ენის არაერთი პრობლემების კვლევისათვის.

სრულიად განსაკუთრებულია თინათინ ყაუხჩიშვილის ღვაწლი ბერძნული ეპიგრაფიკის შესწავლაში. ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაშრომის „ბერძნული წარწერები საქართველოში“ შესახებ აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „თ. ყაუხჩიშვილის ნაშრომი მრავალი წლის მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფია და იგი მოუცილებელი დამხმარე წიგნი იქნება საქართველოს ისტორიისა და კულტურის ისტორიის მკვლევართათვის“. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით, „ეს შრომა სახელმძღვანელოდ დარჩება საქართველოში არსებული ბერძნული წარწერების შესწავლის საქმეში... ავტორმა მოგვცა სერიოზული ანალიზი მის მიერ შეგროვილი მასალებისა: ენობრივი, პალეოგრაფიული, ისტორიული და ლიტერატურული“. მართლაც, გასული საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული 80-იანი წლების ჩათვლით, ქალბატონმა თინამ შეისწავლა სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად საქართველოში გამოვლენილი 1000-ზე მეტი ბერძნული წარწერა. ეს ეპიგრაფიკული ძეგლები დიდ ქრონოლოგიურ პერიოდს მოიცავს (ძვ. წ. V-XVIII სს.) და უმნიშვნელოვანეს მასალას წარმოადგენს ქართული და ბერძნული ენების განვითარების ეტაპების, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის, ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობების, კულტურის ისტორიის პრობლემების, საკუთრივ ბერძნული პალეოგრაფიის კვლევისათვის. საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული წარწერების საფუძვლიან შესწავლას ქალბატონმა თინამ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე.

ბუნებრივია, წლების განმავლობაში ჩატარებულ რთულსა და შრომატევად სამუშაოს 1999-2002 წლებში მოჰყვა ბერძნული წარწერების კორპუსის (სამტომად), 2004 წელს ამავე კორპუსის მეორე, ხოლო 2009 წელს მესამე, შევსებული და შესწორებული გამოცემები. ზემოხსენებული საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, აქ თავმოყრილი მასალის სიმდიდრით, კლასიფიკაციითა და მეცნიერული გააზრების თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენია ყველა ქართველოლოგისა და იმ მკვლევრისათვის, ვინც ბერძნულენოვან სამყაროს ან მასთან რაიმე სახის კონტაქტებს სწავლობს. თინათინ ყაუხჩიშვილის ეს მონოგრაფია ბერძნული ეპიგრაფიკის კვლევაში უთუოდ საეტაპო ნაშრომია.

თინათინ ყაუხჩიშვილმა უდიდესი ღვაწლი დასდო ძველბერძენ ავტორთა თხზულებებში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების ქართულ ენაზე თარგმნას, მეცნიერულ შესწავლასა და გამოცემას. მან ღირსეულად გააგრძელა საქართველოში სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ დაწყებული ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური წყაროების თარგმნის, სამეცნიერო ანალიზისა და პუბლიკაციის საქმე და თვისობრივად სრულიად ახალი ეტაპი შექმნა. განსაკუთრებულია ქალბატონი თინას წყაროსთან დამოკიდებულება. პირველ რიგში, იგი ამომწურავ ცნობებს გვაწვდის ავტორის შესახებ, იხილავს მის მსოფლმხედველობას, პირველწყაროებს, იკვლევს ტერმინოლოგიას, ითვალისწინებს წერილობითი ძეგლის ჟანრობრივ კუთვნილებას, იძლევა ეპოქის დახასიათებას; შემდეგ მიმოიხილავს თხზულების ხელნაწერებს, თარგმანებს, ეყრდნობა კრიტიკულ გამოცემებს და გვაწვდის ტექსტის დედანთან უაღრესად მიახლოებულ, ზუსტ თარგმანს; ამას მოსდევს შენიშვნები, საფუძვლიანი კომენტარები და მეცნიერული დასკვნები. სწორედ ამგვარადაა გამოცემული „სტრაბონის გეოგრაფია“ (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957; აპიანეს „მითრიდატეს ომების ისტორია“, თბ., 1959; „ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ., 1960; ჰეროდოტეს „ისტორია“ (ორ ტომად), თბ., 1975-1976 წწ; „ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ., 1965; „პოლიბიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ., 1967; „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ (ექვს წიგნად), თბ., 1967-1987 წწ.

თინათინ ყაუხჩიშვილმა მეცნიერულ მიმოქცევაში პირველმა შემოიტანა იმ ძველი ბერძენი ავტორების (მაგ., ნიკოლაოს დამასკელი, მემნონი, ლუკიანე, კლავდიოს ელიანუსი, ალკიფრონი და სხვა) ცნობები, რომლებიც ნაკლებად ცნობილი ან საერთოდ უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ეს საშუალებას იძლევა, ახლებურად იქნას გააზრებული საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური, კულტურული ისტორიის, საისტორიო გეოგრაფიის და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მამა-შვილის, ბატონი სიმონისა და ქალბატონი თინა ყაუხჩიშვილების დიდი დამსახურებაა, რომ ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი ავტორების თხზულებებში საქართველოს შესახებ დაცული ცნობები ასე ხელმისაწვდომია ქართველ მკვლევართათვის.

ფასდაუდებელია ქალბატონი თინას 1976 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები“, რომელიც ისტორიკოსთა და ფილოლოგთათვის ნამდვილ გზამკვლევს წარმოადგენს. ამ შემაჯამებელ ნაშრომში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოდგენილია მრავალჟანრობრივ ძველბერძნულ მწერლობაში საქართველოს შესახებ დაცული ცნობები და ნაჩვენებია მათი მნიშვნელობა ჩვენი ერის წარსულის სხვადასხვა პრობლემის შესწავლისათვის.

ქალბატონი თინა თავის დარგში საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი იყო. მისი მოხსენებები ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე ყოველთვის გამოირჩეოდა პრობლემის აქტუალობით, წყაროთა სიღრმისეული და ამომწურავი კვლევით, ახლებური ინტერპრეტაციითა და დასკვნების ორიგინალობით. სწორედ ამის გამო მისი საჯარო გამოსვლები სპეციალისტთა უმაღლეს შეფასებებს იმსახურებდა. ქართველი თუ უცხოელი კოლეგების მხრიდან მის მიმართ სრულიად დამსახურებული პატივისცემა იგრძნობოდა.

თინათინ ყაუხჩიშვილი იყო უაღრესად ღირსეული პიროვნება, უსაზღვროდ შეყვარებული სამშობლოსა და საკუთარ საქმეზე, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა. იგი თავის შეგირდებს, სპეციალობასთან ერთად, ამასაც ასწავლიდა და პროფესიონალებად ზრდიდა.

ქალბატონმა თინამ უმდიდრესი სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა, რომლის სათანადოდ შესწავლა-გააზრებას და შეფასებას მონოგრაფიული კვლევა სჭირდება.

თინათინ ყაუხჩიშვილმა ქართულ მეცნიერებაში ისეთი ღრმა კვალი დატოვა, რომ მისი ხსოვნა საუკუნეებს გადასწვდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

10 მაისს, 14 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართება აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა (რუსთაველის პროსპექტი №52).

რატომ ვეთამაშებით ქართულ მიწას?!

ღია წერილი საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს საზოგადოებრიობას

საქართველოს პარლამენტში ინიციირებულია და განიხილება (სამწუხაროდ, პირველი მოსმენით მიღებულიც არის) მიწის შესახებ ორი კანონპროექტი, კერძოდ: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“.

აშკარაა, რომ ამ კანონპროექტების მიღებით მიწის საკითხი არა თუ არ გადაწყდება, არამედ პირიქით – კიდევ უფრო მეტად ბუნდოვანი გახდება ქართული მიწის ბედი. ასეთ ბუნდოვანებასა და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებს განაპირობებენ შემოთავაზებული კანონპროექტების როგორც სისტემური ხასიათის ხარვეზები, ასევე, კონკრეტული არასწორი და მცდარი გადაწყვეტილებები. კერძოდ:

1. სისტემურ ხარვეზებთან დაკავშირებული ზოგადი შენიშვნები

მიწის საკითხის საკონსტიტუციო მოწესრიგებასთან დაკავშირებით თავის დროზე ჩვენ ჩამოვაყალიბეთ პოზიცია (იხ. „მიწაზე ეროვნული თანხმობა კონსტიტუციამ უნდა გადაწყვიტოს“ http://iverioni.com.ge/16385-mitsaze-erovnuli-thankhmoba-konstituciam-unda-gadatsyvitos.html), რომ კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე მიწის საკითხი აუცილებლად კომპლექსურად უნდა მოწესრიგებულიყო ორგანული და კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტით. მაშასადამე, კონსტიტუციიდან გამომდინარე, უნდა მიღებულიყო ორგანული კანონი „მიწის კოდექსი“, რომელიც სისტემატიზებულად, ერთიან კომპლექსში, თავს მოუყრიდა როგორც მიწათმფლობელობის, ასევე მიწათსარგებლობისა და მიწის მართვის საკანონმდებლო ნორმებს; სწორედ ეს შექმნიდა მიწის სახელმწიფო და მუნიციპალური მწყობრი პოლიტიკის მყარ სამართლებრივ საფუძვლებს და აქედან გამომდინარე, განაპირობებდა სასიცოცხლოდ აუცილებელ მიწის რეფორმასაც, რომლის კიდევ გადადება შეიძლება უკვე საბედისწერო აღმოჩნდეს.

სამწუხაროდ, წარმოდგენილ კანონპროექტებში მიწის საკითხი ფუნდამენტურად და სისტემურად კვლავაც გადაუწყვეტელი რჩება; ეს კანონპროექტები მხოლოდ ფრაგმენტულად და, რაც უფრო მეტად გულდასაწყვეტია, არასწორად აწესრიგებენ მიწის საკითხს და ამდენად, ვერ გამოდგებიან ვერც მიწის პოლიტიკისა და მით უმეტეს – ვერც მიწის რეფორმის სამართლებრივ საფუძვლებად. ამგვარ ფრაგმენტულობას განაპირობებს შემდეგი:

წარმოდგენილი სახით ორგანული კანონით წესრიგდება (ისიც არასრულად და არასწორად) მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები; რაც შეეხება არანაკლებად მნიშვნელოვან სხვა საკითხებს, მათ შორის – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწათმფლობელობას, აგრეთვე როგორც არასასოფლო, ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწათსარგებლობის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებს, ეს პრობლემა კვლავაც საკანონმდებლო მოწესრიგების გარეშეა დატოვებული; ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის „მდგრადი მართვის“ (როგორც პროექტების ავტორი უწოდებს) მომწესრიგებელი ნორმები ცალკეა გამოტანილი და არა ორგანული, არამედ ჩვეულებრივი კანონის სახით ყალიბდება, რაც ფორმალურადაც მიუღებელია, ვინაიდან მიწის საკითხისადმი სისტემური მიდგომის ერთიან კონტექსტს არღვევს (გაუგებარია, რატომ წესრიგდება მიწის საკუთრება ორგანული კანონით, მიწის მართვა კი ჩვეულებრივი კანონით?).

რაც მთავარია: ასეთი ერთიანი კონტექსტისა და მიწის საკითხის მიმართ სისტემური დამოკიდებულებისათვის, როგორც ეს არაერთგზის გვაქვს აღნიშნული, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ფუნდამენტური პრინციპები, მათ შორის, ორი უმთავრესი პრინციპი:

> **1. მიწა არა მხოლოდ ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსია, არამედ, ჩვენი ეროვნული იდენტობის დამდგენი ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა;**
>
> **2. მიწის საკუთრება იმავდროულად სოციალურად დამავალდებულებელი ბუნებისაა, რაც ხაზგასმული იყო კიდეც საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 116-ე მუხლში; (ასევე ყურადსაღებია, რომ საკუთრების სოციალურად დამავალდებულებელი ბუნება მკაფიოდ არის ასახული თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სოციალური სახელმწიფოს – გერმანიის კონსტიტუციის მე-14 მუხლში);**

სამწუხაროდ, წარმოდგენილი კანონპროექტები შორს დგას ამ დამდგენი პრინციპებისგან, რის გამოც სისტემური თვალსაზრისით მიწის საკითხი კვლავაც მოუწესრიგებელი რჩება; ამდენად, ამ კანონპროექტების მიღების შემთხვევაში დღეს არსებული სავალალო სურათი დიდად არ შეიცვლება: მიწის საკითხის (მიწათმფლობელობა, მიწათსარგებლობა და მიწის მართვა) სისტემური მოუწესრიგებლობის გამო ისევ გაურკვეველი იქნება მიწის სახელმწიფო თუ მუნიციპალური პოლიტიკა და კვლავაც ბურუსით მოცული დარჩება ქვეყნის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი და გადაუდებელი მიწის რეფორმის ბედი.

2. მცდარ გადაწყვეტებთან დაკავშირებული კონკრეტული შენიშვნები

ა) როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, უცხოელებზე მიწის გასხვისების შეზღუდვა (რაც ჩვეულებრივი პრაქტიკაა თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოების უდიდესი უმრავლესობისთვის) დისკრიმინაციული ხასიათის არ არის. იგი მიწის კანონმდებლობის განმსაზღვრელი ფუნდამენტური პრინციპებიდან (მიწა, როგორც ეროვნული იდენტობის დამდგენი ღირებულება და მიწაზე საკუთრების სოციალურად დამავალდებულებელი ბუნება) უნდა გამომდინარეობდეს; უცხოელებზე გასხვისება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იყოს დასაშვები; და ერთადერთი საფუძვლით, როცა აშკარაა განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური ინტერესი ჩვენთვის, ანუ საჩვენო საზოგადოებრივი სიკეთე, რაც მთავარია: თითოეულ ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაზე გადაწყვეტილებას ექსკლუზიურად უნდა იღებდეს საქართველოს მთავრობა და ამასთან, ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი თემის წინასწარი თანხმობით შეიძლება მიიღებოდეს, სადაც კონკრეტული მიწის ნაკვეთი მდებარეობს; იმის მაგივრად, რომ ორგანული კანონით სწორად განისაზღვრა ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დაინტერესებული სუბიექტის მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი პირობები (მათ შორის, საინვესტიციო გეგმა და ამ გეგმის უზრუნველსაყოფად მყარი ფინანსური გარანტიები). სავალდებულოა გადაწყვეტილების მიღების მკაფიო და გამჭვირვალე პროცედურა. კანონპროექტში შემოთავაზებულია გასხვისების ამ საფუძველთან არსებითად დაუკავშირებელი და, ამდენად, შეუსაბამო წინასწარ დადგენილი ჩამონათვალი იმ უცხოელი სუბიექტებისა, ვისაც შესაძლოა, სასოფლო-სამურნეო მიწა გამონაკლისის სახით საკუთრებაში გააჩნდეს.

ბ) განსაკუთრებით სავალალოა, რომ ორგანული კანონის წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ასეთ, წინასწარ განსაზღვრულ სუბიექტებს შორისაა „საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა დომინანტი პარტნიორია უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება წარმოიშობა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტების საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის შედეგად“ (იხ. ორგანული კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი). კანონპროექტიდან უშუალოდ არ გამომდინარეობს, მაგრამ ალბათ უნდა ვიგულისხმოთ, რომ უცხოური „ფინანსური ინსტიტუტების“(?!) მიერ მიწის საკუთრების უფლების შეძენას კანონპროექტის ავტორები უკავშირებენ სავარაუდოდ იპოთეკას, რაც კიდევ უფრო გაუგებარსა და ბუნდოვანს ხდის ამ ნორმის შინაარსს.

აბსოლუტურად დაუშვებელია, რომ თუნდაც მიწის ნაკვეთის რეალიზაციამდე, ე.ი. შეზღუდულ ვადაში (პროექტის მიხედვით ეს ვადა ცოტა არ არის, იგი 2 წელიწადს უტოლდება), ე.წ. საფინანსო ინსტიტუტმა სასოფლო-სამურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება შეიძინოს, რადგან სასოფლო-სამეურნეო წარმოება მის საქმიანობასთან სავსებით შეუთავსებელია. ეს ფაქტობრივად მიწის რეალიზაციამდე მის მოცდენას განაპირობებს და ქმნის მოცდენილი მიწებით სპეკულაციის უდიდეს რისკს; რაც მთავარია – არსებითად და დაუსაბუთებლად იზღუდება ისედაც გაკოტრებული მკვიდრი მიწის მეურნის უფლებები; ასეთ შემთხვევაში, როცა სასოფლო-სამეურნეო წარმოება კოტრდება, საჭიროა არა მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმება და მკვიდრი მეურნის საკუთრების უფლების გარანტირებულად დაკარგვა, არამედ პირიქით: ქმედითი საკანონმდებლო მექანიზმები, რათა კრედიტის ამღებს როგორმე მდგომარეობა შეუმსუბუქდეს, როგორმე შეძლოს გაკოტრების განსაკუთრებულ რეჟიმში ვალდებულებების ისე გასტუმრება, რომ არც მიწა მოცდეს და იქნებ ამ გამრჯე მეურნემ საკუთრების უფლებაც შეინარჩუნოს. სწორედ ამიტომ, კანონმდებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაკოტრების საკითხებს განსაკუთრებით უნდა აწესრიგებდეს იმ მკაფიო საზოგადო ინტერესიდან გამომდინარე, რომ სასოფლო-სამეურნეო საქონლის წარმოება არ შემცირდეს, მიწა არავითარ შემთხვევაში არ მოცდეს და, მით უმეტეს, მას არა წარმოების განვითარებითა და მიწის უკეთ გამოყენებით დაინტერესებული, არამედ შეუსაბამოდ უცხო პატრონი არ დაეპატრონოს, რომლის ერთადერთი „კანონიერი“ ინტერესი მიწის სპეკულაციურ ფასში გაყიდვა იქნება და სხვა არაფერი! **აღარაფერს ვამბობთ, რომ ამ „კანონიერი“ მიზნის მიღმა არაკეთილსინდისიერ სუბიექტს შესაძლოა, ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ინტერესიც ამოძრავებდეს.**

> **ამრიგად, წინასწარ ჩამონათვალში საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ხსენება სამართლებრივად გაუგებარია და უარესიც: ბადებს დასაბუთებულ ეჭვს, რომ ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ გარკვეული ფინანსური ინსტიტუტები ახორციელებენ შეგნებულ ზეწოლას სა-**

ქართველოს სუვერენულ მთავრობაზე, რათა ქართულ მიწაზე საკუთრების უფლება, მიუხედავად მათი საძმიანობის სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან სრული შეუსაბამობისა, შეიძინონ!

გ) ასევე გაუგებარი და საფრთხის შემცველია სასოფლო-სამურნეო მიწის საკუთრების შესახებ ორგანული კანონის პროექტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც კონსტიტუციის ჩანაწერის საწინააღმდეგოდ მიწა შეიძლება იყოს არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების, არამედ ისეთი „კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში, რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი“; ეს ტექსტი, ჯერ ერთი, პირდაპირ წინააღმდეგობაშია მსოფლიო პრაქტიკასთან, მეორეც იგი წინააღმდეგობაშია საღ აზრთან და მოცემული საზოგადოებისადმი ერთგულებასთან. დათქმა, რომ ეს შეიძლება მხოლოდ „საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საინვესტიციო გეგმის საფუძველზე“ არაფრის მთქმელია, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, „საზოგადოებრივი სიკეთის“ ცნებაში იგულისხმება და შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ „ჩვენი საზოგადოებისთვის სიკეთე“ და არა უცხოპლანეტელებისა.

დ) მიუღებელია მიწის მესაკუთრე სუბიექტების ჩამონათვალში (იხ. ორგანული კანონპროექტის მე-4 მუხლის 1-ელი ბუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) ზოგადად საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხსენება. მართლაც, გარდა საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა (რომელიც კანონში ცალკე პუნქტადაა გამოყოფილი) და მუნიციპალიტეტისა, გაუგებარია, რომელიმე სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს რა მიზნით შეიძლება სასოფლო-სამურნეო მიწა საკუთრებაში ჰქონდეს? გასაგებია, რომ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება კანონით ან მმართველობის ორგანოს აქტით დაფუძნდეს სსიპ, რომელიც, შესაძლოა, სოფლის მეურნეობასაც მისდევს, მაგრამ, თუნდაც ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში (რომლის მიზანშეწონილობა არც თუ იოლად დასასაბუთებელია) რა საჭიროა იგი მიწის მესაკუთრე იყოს? საკმარისია, მას სახელმწიფო საკუთრების მიწა სარგებლობის ან მართვის უფლებით (მაგალითად, უზუფრუქტით, ან, ვთქვათ, მართვის ისეთი უფლებებით, რასაც დღესაც ახორციელებს სსიპ „სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო“) გადაეცეს, რათა შეუზღუდავად განახორციელოს საკუთარი საქმიანობა.

ე) ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, რაც მიწის კანონმდებლობას უნდა ჰქონოდა, ეს სახელმწიფო საკუთრების მიწის მუნიციპალურ საკუთრებასა და შესაბამისი თემის უსასყიდლო, უვადო სარგებლობაში გადაცემა უნდა ყოფილიყო. სახელმწიფო საკუთრების მიწის მუნიციპალიზაცია და ადგილობრივი თემის უვადო და უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა მიწის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს, რაც ასევე სასიცოცხლოდ უკავშირდება ქვეყნის მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის სტრატეგიასაც, რომლის განხილვა სწორედ ახლა მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტში. ამ თემის შესახებ თავის დროზე არაერთი წერილი გამოგვიქვეყნებია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაოდ.

აუცილებელია შეიცვალოს პრეზუმფცია, რომლის ძალითაც დაურეგისტრირებელი მიწა სახელმწიფო საკუთრებად მიიჩნევა. მიწა, რომელიც კერძო საკუთრებისა არ არის და გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ გამოჩნდება მისი კანონიერად მფლობელი და მოსარგებლე, რომელიც შესაბამისი ნაკვეთის საკუთრებად დარეგიტრირებას მოითხოვს, უნდა დარეგისტრირდეს არა სახელმწიფო, არამედ მუნიციპალურ საკუთრებად და ასევე თემს მუდმივ, უსასყიდლო მფლობელობაში გადაეცეს.

სამწუხაროდ, წარმოდგენილი კანონპროექტები საერთოდ გვერდს უვლიან ამ უმნიშვნელოვანეს თემას და გვრჩება ვითარება, როცა სასოფლო-სამეურნეო მიწის ყველაზე მსხვილი მესაკუთრე, როგორც ლენინის მიწის დეკრეტის, ე.ი. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მიტაცებული მიწის მემკვიდრე, კვლავაც, ამჯერად უკვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოა, რაც სრულიად მოუთმენელია და სავსებით შეუთავსებელი სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ პრინციპებთან. თუ არ მოხდება ამ თავის დროზე მიტაცებული მიწის, რაც სახელმწიფოს არაფერში სჭირდება და მხოლოდ გასაყიდად თუ გაახსენდება, მუნიციპალურ საკუთრებასა და ადგილობრივი თემის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა, ძნელი იქნება სოფლის მეურნეობისა, ხოლო ზოგადად – ქვეყნის განვითარებაზე ოცნებაც კი.

ვ) ორგანულ კანონპროექტში საუბარია სახელმწიფოს მიერ მიწის უპირატესი შესყიდვის უფლებაზე (იხ. ორგანული კანონპროექტის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი); როგორც არაერთგზის გაგვიმახვილებია ყურადღება, მიწის გაყიდვისას უპირატეს მყიდველთა რიგითობა უნდა დადგინდეს და სახელმწიფოს წინ ამ რიგში უთუოდ უნდა იყოს თავად თემში მცხოვრები სოფლის მეურნე, შემდეგ – მუნიციპალიტეტი, რომელიც მიწას გამოისყიდის სათემო სარგებლობისათვის და მხოლოდ მას შემდეგ – სახელმწიფო. აქვე, რასაკვირველია, თუ ზემოთ ნახსენები რომელიმე პირობა (კონკრეტული სახელმწიფო უფლებამოსილების უზრუნველყოფა, სახელმწიფო უსაფრთხოება, საერთაშორისო ვალდებულება, საერთაშორისო ან ეროვნული მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტი) წარმოიშობა, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლება, გამოისყიდოს კერძო მესაკუთრისგან, ხოლო, თუ მიწა მუნიციპალურ საკუთრებაშია, უსასყიდლოდ მიიღოს საკუთრებაში საჭირო ნაკვეთი.

ზ) კანონპროექტებში ნახსენებიც კი არ არის, რომ პირი, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა და მიწის მესაკუთრეა, სოფლის მეურნის (ფერმერის) სტატუსით უნდა სარგებლობდეს. სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს მას და ამისათვის კანონმდებლობით მიანიჭოს გარკვეული უპირატესობები, მაგალითად, მიწის ნაკვეთის შესყიდვისას, სოფლის მეურნეობის პროდუქტის რეალიზაციისას, მიწის დასამუშავებლად იაფი კრედიტის მოსაძიებლად, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვისას და სხვ.

თ) განსაკუთრებით გულსატკენია, რომ კანონპროექტის ავტორებმა საბოლოოდ უარი თქვეს მიწის მართვის სისტემის გამართულ ინსტიტუციონალიზაციაზე; „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ კანონის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში ნახსენები იყო „მიწის მდგრადი მართვის და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო“, რაც პირველი მოსმენით მიღებულ პროექტში უკვე ამოღებულია. მის მაგივრად შემოთავაზებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში მყოფი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება, რომელიც, ბუნებრივია, ვერ შეძლებს უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული ფუნქციის – მიწათსარგებლობის აღრიცხვისა და მიწათსარგებლობის სტრატეგიული დაგეგმარების ამოცანების შესრულებას. ასევე, საერთოდ არის მხედველობიდან გამორჩენილი ადგილობრივ, მუნიციპალურ დონეზე მიწათმოწყობის ორგანიზების საკითხი, რის გარეშეც მიწის „მდგრადი მართვა“ საერთოდაც წარმოუდგენელია.

* * *

წარმოდგენილი სახით კანონპროექტების მიღება დაუშვებელია; კვლავაც მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გვერდზე გადადოს აღნიშნული უვარგისი პროექტები და ამ სფეროს აღიარებული სპეციალისტების ჩართულობით დაიწყოს ინტენსიური მუშაობა „მიწის კოდექსის“ პროექტზე, რომელიც სისტემური მიდგომის საფუძველზე თავს მოუყრის მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობისა და მიწის მართვის საკანონმდებლო ნორმებს, შექმნის მყარ სამართლებრივ საფუძვლებს მიწის სახელმწიფო და მუნიციპალური პოლიტიკის საწარმოებლად, უზრუნველყოფს მიწის ისეთი რეფორმის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში შექმნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად ქართული მიწის რაციონალურად გამოყენებისა და სათანადო დაცვის მწყობრ სისტემას, რაც ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველთა საფუძველია.

მიტროპოლიტი ანანია, მიტროპოლიტი დავითი, მიტროპოლიტი ანდრია, მიტროპოლიტი დიმიტრი, გოგოლა მარგველაშვილი (აკადემიკოსი), **ლადო პაპავა** (აკადემიკოსი), **გიზო ურუშაძე** (აკადემიკოსი), **ავთანდილ სილაგაძე** (აკადემიკოსი), **ელიზბარ ჯაველიძე** (აკადემიკოსი), **ჯემალ კაციტაძე** (აკადემიკოსი), **პაატა კოღუაშვილი** (აკადემიკოსი), **დავით ზარდიაშვილი** (ექსპერტი მუნიციპალურ სამართალში), **ანზორ მესხიშვილი** (სერტიფიცირებული ექსპერტი მიწის საკითხებში, ეკონომიკის დოქტორი), **ჯუმბერ ფანჩულიძე** (სერტიფიცირებული ექსპერტი მიწათმოწყობაში, პროფესორი), **რევაზ გოგოხია** (ეკონომისტი, პროფესორი), **მერაბ ვაჩნაძე** (ისტორიკოსი, პროფესორი), **ოთარ ჟორდანია** (ისტორიკოსი, პროფესორი), **თამაზ ყურაშვილი** (პედიატრი, პროფესორი), **ნოდარ ნათაძე** (ფილოლოგი, პროფესორი), **ჯუმბერ კოპალიანი** (ისტორიკოსი, პროფესორი), **ნიკა სანებლიძე** (ფილოლოგი, პროფესორი), **მიხეილ ჯიბუტი** (ეკონომისტი, პროფესორი), **ბონდო მძინარაშვილი,** ჟურნალისტი, ტელეკომპანია „ობიექტივის“ მთავარი რედაქტორი.

ივლისში თბილისში 40 საზაფხულო ბაღი იმუშავებს

თბილისის მერიისა და საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს სოციალური პროექტი „საზაფხულო ბაღები“ 2019 წელსაც განხორციელდება. ივლისის თვეში დედაქალაქში 40 საზაფხულო ბაღი იმუშავებს, სადაც ამ სერვისით სარგებლობის საშუალება 13 000 აღსაზრდელს ექნება.

„რეგისტრაცია საზაფხულო ბაღებში 2019 წლის 15 მაისს, 12 საათზე, დაიწყება. პროცესი წარიმართება ელექტრონულად თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.kids.org.ge რეგისტრაციის დაწყების დღეს, ვებგვერდზე იმუშავებს მხოლოდ საზაფხულო ბაღების რეგისტრაციის ფორმა, სადაც სავალდებულო იქნება კონკრეტული ველების შევსება რაიონის, საბავშვო ბაღის, ჯგუფის, ასევე, აღსაზრდელისა და მშობლის პირადი მონაცემებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ. რეგისტრაცია ადგილების შევსებამდე გაგრძელდება“, – განაცხადა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელმა კახაბერ გვანცელაძემ.

მისი თქმით, საზაფხულო ბაგა-ბაღებში რეგისტრირებული აღსაზრდელები მომსახურებას მიიღებენ მხოლოდ მიმდინარე წლის ივლისში და აღნიშნული რეგისტრაცია არ ეხება 2019-2020 სააღმზრდელო წელს. ამასთან, საზაფხულო ბაღების სერვისი ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ბაღებში რეგისტრირებული აღსაზრდელებისთვის, არამედ 2-დან 6 წლამდე ასაკის ნებისმიერი ბავშვისათვის. კახაბერ გვანცელაძის განცხადებით, საზაფხულო ბაღების სიაში რამდენიმე ცვლილებაა, კერძოდ, №170 ბაღის ნაცვლად, მთაწმინდის რაიონში ივლისში იმუშავებს №3 ბაგა-ბაღი, ისნის რაიონში №26 ბაღს ჩაანაცვლებს №66 ბაღი, ხოლო საბურთალოზე №171 ბაღის ნაცვლად იმუშავებს №74 ბაგა-ბაღი.

საზაფხულო ბაღები რაიონების მიხედვით შემდეგ სკოლამდელ დაწესებულებებში იფუნქციონირებს: გლდანის რაიონი – №153, №48 №205, №216, №186, დიდუბის რაიონი – №11, №92, №23, №15.

ვაკის რაიონი – №1, №27, №142, № 83, ბაგა-ბაღი „ჩიორა“, ისნის რაიონი – №202, №29, №66, №215, №182, კრწანისის რაიონი – №51, №206, მთაწმინდის რაიონი – №3, №152, №162, ნაძალადევის რაიონი – №9, №79, №60, №143, № 80, საბურთალოს რაიონი – №197, №74, №112, სამგორის რაიონი – №128, №12, №210, №45, №196, №72.

დოლაბაურის ხევში დასუფთავების აქცია გაიმართა

თბილისის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ნინო ლაცაბიძის ინიციატივით, წერნაქის ქუჩის ბოლოს მდებარე დოლაბაურის ხევში დასუფთავების მასშტაბური აქცია მოეწყო. საკრებულოს წევრის განცხადებით, ხევში ანტისანიტარია სუფევდა.

„დედაქალაქის მერიის დასუფთავების სამსახურის, ისნის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებთან და მოხალისე ახალგაზრდებთან ერთად, დოლაბაურის ხევის დასუფთავების სამუშაოები დავიწყეთ. სასიხარულოა, რომ აქციაში ადგილობრივი მოსახლეობაც აქტიურად ჩაერთო. არსებული უმძიმესი მდგომარეობა ერთობლივი ძალისხმევით აუცილებლად გამოსწორდება და მოსახლეობას ეს ულამაზესი ხევი დაუბრუნდება“, – განაცხადა ნინო ლაცაბიძემ.

რუსეთი ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტში ჩართვას ცდილობს

ანკარაში **რუსეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის სარკინიგზო კომპანიების ხელმძღვანელებმა სამმხრივი მემორანდუმი გააფორმეს, რომლის მიზანი ბაქო-თბილისი-ყარსის მარშრუტზე რეგულარული სარკინიგზო მიმოსვლის უზრუნველყოფაა,**— ინფორმაციას რუსეთის რკინიგზა ავრცელებს და აღნიშნავს, რომ „რუსული სარკინიგზო ლიანდაგი შესაძლოა, თურქეთამდე გაგრძელდეს“.

ამავე წყაროს ცნობით, საუბარია ახალქალაქი-ყარსის მონაკვეთზე მეორე სარკინიგზო ლიანდაგის დამატებაზეც, რომლის სიგანე 1520 მმ იქნება.

თბილისიდან ახალქალაქამდე საბჭოთა სტანდარტის — 1520 მმიანი ლიანდაგია დაგებული, ახალქალაქიდან ყარსამდე კი ევროპული სტანდარტის — 1435 მმიანი.

რუსეთის რკინიგზის ცნობით, განიხილება ყარსში სატერმინალო-ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობის საკითხიც.

„ხელმოწერილი მემორანდუმი ბაქო-თბილისი-ყარსის ხაზზე გადაზიდვების განვითარების შესაძლებლობას ხსნის. აღნიშნული მაგისტრალი ახლა აზერბაიჯანელი რკინიგზელების ხელმძღვანელობით შენდება. ეს ნიშნავს, რომ თურქეთი უერთდება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ერთიან ტექნოლოგიურ სივრცეს, ასევე ფინეთს, ბულგარეთს, ირანს, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან“, — განაცხადა რუსეთის რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა ოლეგ ბელოზიოროვმა და დასძინა, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალზე ტვირთები შესაძლოა, სამხრეთ კორეიდან, ჩინეთიდან და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სხვა ქვეყნებიდან მოხვდეს.

ცნობისთვის: რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელი ორი დღის წინ ბაქოს ეწვია და ქვეყნის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალის თემასაც. ბაქოში რუსეთისა და აზერბაიჯანის სარკინიგზო კომპანიებს შორის კიდევ ერთი მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც სარკინიგზო სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

სტრესი და ეკონომიკა



მსოფლიოში ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთა რაოდენობა სწრაფად იზრდება, რის გამოც 2030 წლისთვის გლობალური ეკონომიკა 16 ტრლნ დოლარს დაკარგავს — ასეთია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები.

ამ თანხის ნაწილი პირდაპირ მკურნალობაზე, დანარჩენი — შრომის ეფექტურობის შემცირებაზე, სოციალურ დანახარჯებსა და წესრიგზე დაიხარჯება.

მოხსენების ერთ-ერთი ავტორის ვიკრამ პატელის თქმით, ბოლო 25 წლის მანძილზე მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ფსიქიკური დაავადებების რაოდენობა, თუმცა არც ერთი სახელმწიფო ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

უარყოფითი დინამიკის მიზეზებია:მოსახლეობის დაბერება, მასობრივი სოციალური დარღვევები, ეკონომიკური კრიზისები, სამოქალაქო კონფლიქტები, ომი და ძალადობა ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ ამერიკასა და აფრიკაში. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ომების დასრულების, ეკონომიკის აღდგენის, უმუშევრობის შემცირების და კატასტროფების შედეგების აღმოფხვრის მერეც, ის ზიანი, რომელიც ადამიანების ფსიქიკურ მდგომარეობას მიადგა, კიდევ დიდხანს რჩება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მოსახლეების 10%-ს ფსიქიკური დარღვევები აქვს, მათ შორის ბავშვების და მოზარდების 20%-ს. მსოფლიოში 300 მლნ ადამიანს აქვს დეპრესია, 50 მლნ-ს — შიზოფრენია, 60 მლნ-ს — ბიპოლარული აშლილობა.

ამ საშინელი სტატისტიკის მიუხედავად, ბიზნეს-კომპანიების უმრავლესობა თანამშრომელთა ფსიქიკურ მდგომარეობაზე საერთოდ არ ზრუნავს. ორიენტაცია მოგების მუდმივ ზრდასა და ეფექტურობაზე, ფსიქიკურ გადახრებს თავისთავად ამძაფრებს. საბოლოოდ კი „ეფექტურ მენეჯმენტს“ მოგების ნაცვლად, მოაქვს ისეთი დანაკარგები, რომლებიც საერთოდ არ აღირიცხება. პროფესორ უოლტერ სტიუარტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ფსიქიკური დაავადებები და ასევე ალკოჰოლური და ნარკოდამოკიდებულება ამერიკულ კომპანიებს წელიწადში 226 მლრდ. დოლარით აზარალებენ.

ზარალის დიდი ნაწილი დაკავშირებულია შრომის ეფექტურობის შემცირებასთან და ხშირ გაცდენებთან. კომპანიები ძირითადად, ზრუნავენ თანამშრომლების ფიზიკურ ჯანმრთელობაზე მაშინ, როდესაც შრომის ეფექტურობის ვარდნა გაცილებით ხშირადაა ფსიქიკური არასტაბილურობით გამოწვეული. ამასთანავე, თანამშრომელთა კმაყოფილება საკუთარი ცხოვრებით და კარიერით ეცემა. აშშ-ში ზრდასრულთა 6,7% ხშირად განიცდის დეპრესიას, რის გამოც ბიზნესი წლიურად 44 მლრდ. დოლარს კარგავს. სამსახურში ადამიანები გვიანობამდე რჩებიან, თუმცა ეს არათუ შველით, არამედ კიდევ უფრო აუარესებს მათ მდგომარეობას.

მუდმივი სტრესის მდგომარეობაში ცხოვრება ხშირად ურტყამს არა მხოლოდ რიგით თანამშრომლებს, არამედ ხელმძღვანელებსაც. მაგალითად, საქმიანი სამყარო გაოცებული იყო იმით, რომ Lloyds Bank-ის მმართველი დირექტორი ანტონიო ორტა-ოსორიო, რომელიც მუდმივად ფიქრობდა სამუშაოზე, შფოთვითი შეტევების და უძილობის გამო, უვადო შვებულებაში წავიდა. მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ კი მან კომპანიის თანამშრომლებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის სამსახური დანერგა, რომელიც ტოპ მენეჯერებს სტრესთან გამკლავებაში ეხმარებოდა.

„მთავარია — აზროვნების შეცვლა. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ფიზიკურთან ერთად გვაძვს ფსიქიკური ჯანმრთელობა, რომელსაც ასევე სჭირდება გაფრთხილება. ზოგჯერ საჭიროა სასწრაფო მკურნალობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაავადება მიიღებს ქრონიკულ ხასიათს“, — ამბობს ორტა-ოსორიო.

ზოგიერთმა კომპანიამ უკვე დაიწყო ყურადღების მიქცევა თანამშრომლების ფსიქიკურ მდგომარეობისადმი, რადგან ეს, როგორც აჩვენა სამედიცინო კომპანია ValueOptions-ის კვლევამ, მომგებიანია. ფსიქიატრთან მხოლოდ ერთ ვიზიტსაც კი შეუძლია შრომის ეფექტურობის ზრდა და გაცდენების შემცირება.

ერთ-ერთი პირველი ამ მხრივ აღმოჩნდა Bank of England, რომლის უფროსი მენეჯერი ადამ სპრედბერი მძიმე დეპრესიის გამო თავად გახდა იძულებული, გარკვეული დროით წასულიყო შვებულებაში.

მან შექმნა ორგანიზაცია Mental Health Network, რომელიც ავრცელებს ბიზნესსამყაროში ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ღიად საუბრის კულტურას — ორგანიზაციის ეგიდით ტარდება გამოკითხვა, სადაც ადამიანები ღიად საუბრობენ თავიანთ აშლილობებზე და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას.

თუმცა, ზოგადი მდგომარეობა მაინც ძალიან რთულია — Business in the Community-ის მონაცემებით, 15%

2030 წლისთვის გლობალური ეკონომიკა ფსიქიკური დაავადების გამო 16 ტრლნ დოლარს დაკარგავს

იმ თანამშრომლებს შორის, ვინც აღიარა ფსიქიკური პრობლემა, შემდეგ გახდა დისკრიმინაციის — დაქვეითების, ან სულაც დათხოვნის მსხვერპლი.

„ეს სრულიად მიუღებელია. ჩვენმა კვლევამ დაგვანახა სამარცხვინო დამოკიდებულება ფსიქიკურად არასტაბილური ადამიანებისადმი. ბევრ ქვეყანაში დეპრესია, შფოთვა და შიზოფრენია ხშირად ხდება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის მიზეზი“, — განაცხადა Business in the Community-ს დირექტორმა ლუიზა ასტონმა.

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ქვეყნები მზად არ არიან თავიანთი მოქალაქეების ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ინვესტირების ჩადებისთვის, უმეტესობას არ გააჩნია არანაირი პოლიტიკა ამ დარგში, ნახევარს კი არა აქვს კანონი ფსიქიკური ჯანმთელობის თაობაზე.

საშუალო და დაბალი შემოსავლების ქვეყნები მოქალაქეების ფსიქიკურ მდგომარეობაზე წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 2 დოლარს ხარჯავენ. მცირეა შესაბამისი სამედიცინო პერსონალიც. გარდა ამისა, საყოველთაოდ აღიარებულია უკვე, რომ ძველი ტიპის ფსიქიატრიული საავადმყოფოები ძალზე არაეფექტურია და თანამედროვე სტანდარტებს არ შეესაბამება.

თანამშრომელთა ფსიქიკურ პრობლემებზე სერიოზული საუბარი არცთუ დიდი ხნის წინ დაიწყო. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, მენტალური ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე 36-მა ქვეყანამ 2016-2020 წლებში 141 მლრდ. დოლარი გამოყო, მათ შორის 91 მლრდ. ხმარდება დეპრესიის, 50 მლრდ. კი — შფოთვის მკურნალობას.

ეს ინვესტიციები ძალიან მალე მოიტანს მოგებას — ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, დეპრესიის მკურნალობის შედეგად, ბიუჯეტში დაბრუნდება 230 მლრდ. დოლარი, შფოთვის შემცირებით კი — 169 მლრდ.

LENTA.RU

რატომ გადადო მაიკ პომპეომ მერკელთან ვიზიტი

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ გერმანიაში დაგეგმილი ვიზიტი გადადო. მიზეზი „გადაუდებელი საქმეებია“. ინფორმაცია ამის შესახებ ბერლინში აშშ-ის საელჩომ გავრცელა. მათი ინფორმაციით სახელმწიფო დეპარტამენტს სურს დაგეგმილი შეხვედრების სხვა დროისთვის გადატანა, რადგან პომპეო იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში ჩავა გერმანიაში.

პომპეო გერმანიაში ჩასვლას 7 მაისს, საღამოს გეგმავდა. ბერლინში პომპეოს სხვა ღონისძიებეთან ერთად ანგელა მერკელთან შეხვედრაც ჰქონდა დაგეგმილი, სადაც საუბარი უკრაინის ვითარებას, ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებს, სირიას და ბალკანეთს უნდა შეხებოდა.

პომპეო ამჟამად ფინეთშია და არქტიკულ ფორუმში მონაწილეობს, ხოლო 14 მაისს მას სოჭში სერგეი ლავროვი ელოდება.

საინტერესოა, სად გაემგზავრება პომპეო ჰელსინკიდან.

ყატარში სუხიშვილების კონცერტი გაიმართა

ყატარში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ქ.დოჰას ოპერის თეატრში, ყურის ქვეყნებში ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ პირველი კონცერტი გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ღონისძიება საქართველოს დამოუკიდებლობის დღის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა.

წარმოდგენას ესწრებოდნენ ყატარში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ყატარში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები. ქართული ნაციონალური ბალეტის პირველი კონცერტი რეგიონში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ყატარის კულტურის ფონდის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის კვირეულის ფარგლებში ყატარში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებებიც გაიმართა. ქ. დოჰაში სასტუმრო „Saint Regis-ში ჩატარდა ქართული სამზარეულოს კვირეული — „Flavors of Georgia“. სტუმრებს მიეცათ შესაძლებლობა, დაეგემოვნებინათ ქართული ღვინოები და საქართველოდან მოწვეული მზარეულის მერი გუბელაძის მიერ მომზადებული ქართული კერძები. ასევე, საქართველოს საელჩოში გაიმართა მიღება დოჰაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის.

... ვდგავარ იქ, სადაც ჩემი ეკლესია დგას

„მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ ყველანაირი ძალადობის და აგრესიის, ყველა ფორმის გამოვლენის. ჩემთვის წარმოუდგენელია და ამას არასდროს არ მივესალმები. ვთვლი, რომ სამების წინ კონცერტი... საერთოდ, სამების სავანე ეს არის ჩვენი თვითმყოფადობის, სულიერების და კულტურული მემკვიდრეობის აღორძინების ადგილი, ამიტომ იქ კონცერტი ჩემთვის არანაირი ძალადობა არ არის და არანაირი აგრესია არავის მიმართ.

ჩემთვის პატივია სამების წინ კონცერტში მონაწილეობის მიღება. მე ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი და თამამად ვაცხადებ, რომ ვდგავარ იქ, სადაც ჩემი ეკლესია დგას“, — განაცხადა ნინო სუხიშვილმა ტელევიზია „ერთსულოვნების“ ეთერში 17 მაისს დაგეგმილ კონცერტთან დაკავშირებით.

◎ ლეგენდის გაელვება...

პირველობას მაინც სხვა ხიბლი აქვს!

ჯაზის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ჯაზის ლეგენდის — გიული ჩოხელის გამოფენა და დისკის წარდგენა. ქალბატონი გიული ჩოხელი საბჭოთა კავშირში პირველი ჯაზ-მომღერალი ქალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი (1967), ხელოვნების ქურუმის ჯილდოს მფლობელი (2015), თბილისის საპატიო მოქალაქეა.

გიული ჩოხელის სასიმღერო კარიერა 1950-იან წლებში დაიწყო. ის მალევე გახდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი წამყვანი ჯაზ-მომღერალი ქალი. მისმა პოპულარობამ პიკს მიაღწია 1960-იანი წლების მეორე ნახევარში სოპოტის პოპ-ფესტივალზე შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ (1967). ფირფიტების ჩაწერა 1970-იან წლებში დაიწყო. მისი პირველი ნამუშევარი პოლონეთში ჩაიწერა და გამოიცა. პირველ წარმატებას მომდევნო გამარჯვებები მოჰყვა — ტალინის საერთაშორისო ჯაზის ფესტივალზე (1967 წ.) პირველი პრემია, პრაღის და მოსკოვის საერთაშორისო ჯაზური ფესტივალების I პრემიები. 2015 წელს მისი ვარსკვლავი გაიხსნა თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ.

საკონცერტო მოღვაწეობას გიული ჩოხელი წარმატებით უთავსებს ულამაზესი კოლაჟების შექმნას. ერთ-ერთი ასეთი კოლაჟი მან უსახსოვრა ეროვნულ ბიბლიოთეკას. საინტერესო მოვლენები გაიხსენა და უამბო დამსწრე საზოგადოებას ქალბატონმა გიულიმ: „საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი ქვეყანა იყო და საზღვარგარეთ გასტროლები წარმოუდგენელი გახლდათ. 1967 წლის ზაფხულში ვიმყოფებოდი გასტროლებზე შორეულ აღმოსავლეთში, მაგადანზე, აფიშები გამოკრული იყო და ბილეთები ყველა კონცერტზე წინასწარ გაყიდული, სასტუმროს ნომერში გაისმა ზარის ხმა, მირეკავდნენ თბილისის ფილარმონიიდან — გულიკო, მიატოვე ყველაფერი და სასწრაფოდ ჩაფრინდი მოსკოვში!.. თუ კონცერტებს ჩავშლიდი, მაშინ დიდი თანხა უნდა გადამეხადა. ქმარმა (ცნობილი პიანისტი) მირჩია, თქვი, რომ გაცივდი და ხმა დაკარგე. მართლაც ასე მოვიქეცი, მაგადანის ფილარმონიის ხელმძღვანელს დავპირდი, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ჩამოვალ და ვიმღერებ. ჯარიმა აღარ გადამახდევინეს.

ჩავფრინდით მოსკოვში და გავიგეთ, რომ პოლონეთის პასუხისმგებელი პირია ჩამოსული და საბჭოთა კავშირიდან სოპოტის ფესტივალისთვის მონაწილეს ეძებს. შევარჩიე პოლონური სიმღერა და დილიდან საღამომდე ვმეცადინეობ. რამდენიმე დღეში პოლონეთიდან ნოტები გამომიგზავნეს, აღმოჩნდა რომ ზუსტად იმ სიმღერის ნოტებია, რომელიც მე შევარჩიე. მაგრამ წარმოიშვა პრობლემა, ეს სიმღერა უნდა მემღერა რუსულ ან ქართულ ენაზე, საბედნიეროდ, ჩემი ქმრის მეგობარმა, მოსკოველმა პოეტმა სასწრაფოდ თარგმნა ტექსტი რუსულად.

შეირჩა ჟიური (თავჯდომარე ლეონიდ უტიოსოვი) და დაინიშნა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც ჩემ გარდა მონაწილეობდნენ იოსიფ კობზონი, ედიტა პიეხა, მაია კრისტალინსკაია და სხვა. ყველანი ძალიან ღელავდნენ, ედიტა პიეხა დადიოდა და ხმამაღლა იძახდა: მე პოლონელი ვარ, მე უნდა წავიდე, მე შევქმენი საბჭოთა ესტრადა, მე უნდა წავიდე!.. ცდილობდა ჟიურიზე ზემოქმედებას. კონკურსზე ყველამ სამი სიმღერა შევასრულეთ. გამოვიდა ლეონიდ უტიოსოვი და აცხადებს — „პირველი პრემია — გიული ჩოხელი, მეორე პრემია — გიული ჩოხელი, მესამე პრემია — გიული ჩოხელი. კონკურსზე სოპოტში მიემგზავრება გიული ჩოხელი“!..

რევაზ თოფურია

ოთო ნემსაძე:

ასეთი გამყიდველები ჩაგრავდნენ ჩვენს ქვეყანას ყოველთვის...

„ევროვიზიის“ კონკურსანტი საქართველოდან ოთო ნემსაძე დარწმუნებულია, რომ ქართველ ემიგრანტებს სოციალურ ქსელში დაწყებული კამპანია შეცდომაში ვერ შეიყვანს.

სოციალურ ქსელში, ქართული სათვისტომოების ჯგუფებში დაიწყო კამპანია, რომლის ინიციატორები მომხმარებლებს მოუწოდებენ, ოთო ნემსაძის ნაცვლად ხმა კვიპროსის ქართველ კონკურსანტ თამთა გოგუაძეს მისცენ.

„აი, ასეთი გამყიდველები ჩაგრავდნენ ყოველთვის ჩვენს ქვეყანას. შანსებიც გვაქვს და მაგარ „ლაივსაც“ დავდებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ერთ ქართველ ემიგრანტს ვერ შეიყვანენ შეცდომაში.

აქ საქმე არ ეხება ოთო ნემსაძეს, აქ საქმე საქართველოშია, ასე, რომ ყველა ერთად დავუდგეთ ჩვენს ქვეყანას გვერდით!

წარმატებები თამთას“, — წერს სოციალურ ქსელში ოთო ნემსაძე.

ცნობისთვის: წლევანდელი კონკურსი 18 მაისს დაიწყება. საქართველოს „ევროვიზიაზე“ ოთო ნემსაძე წარადგენს, ხოლო კვიპროსს — წარმოშობით ქართველი მომღერალი თამთა გოგუაძე, რომლის სიმღერა, წინასწარი შეფასებებით, ერთ-ერთ ფავორიტად სახელდება.

ახალი ღვინის ფესტივალი უვე მეათედ იმართება და წელს მისი მხარდამჭერები ტრადიციულად არიან — ღვინის ეროვნული სააგენტო და ქ. თბილისის მერია. საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საიტი „მარანი“ (vinoge.com), ღვინის საინფორმაციო ცენტრი, რადიო უცნობი, ჯაკო FM. ღონისძიების პარტნიორია მთაწმინდის პარკი, ღვინის ბარი g.Vino, 8000 მოსავალი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ახალი ღვინის ფესტივალი მთაწმინდის პარკში გაიმართება

11 მაისს ახალი ღვინის ფესტივალზე ღვინის მოყვარულებსა და პროფესიონალებს დიდი სიამოვნება გელით — კახეთის, ქართლის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის საუკეთესო ღვინოები.

როგორც ყოველთვის, ახალი ღვინის ფესტივალზე დასწრება უფასოა. თქვენ გელით ასეულობით ახალი ღვინო, ახალი ჯიშები, ახალი სახელები და შთაბეჭდილებები.

ახალი ღვინის ფესტივალი 2019 დაიწყება ქვევრის გახსნის ტრადიციული ცერემონიით, მრავალჟამიერის თანხლებით. ამ ქვევრში, როგორც წესი, ღვინის კლუბის მიერ შერჩეული საოჯახო მარანში დაწურული საუკეთესო ღვინო დაგხვდებათ.

2019 წლის 11 მაისს ახალი ღვინის ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს 78 ღვინის კომპანია, 153 მცირე საოჯახო მარანი, 19 სხვა კომპანია. სულ 250 ფესტივალის მონაწილეა.

◎ თაობა

ორის სამი მედალი

ამ დღეებში ხორვატულმა ზადარმა ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის კალენდრით გათვალისწინებულ მე-17 ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ახალგაზრდა და კადეტ წყალში მხტომელთა შორის.

150 ადგილობრივ, იტალიელ, ავსტრიელ, ფრანგ, სერბ, უნგრელ და რუს თანატოლთან მედლებისთვის ბრძოლაში ქართული სპორტული დელეგაციის 6 წევრი ჩაება (მწვრთნელები — ალექსანდრე ბართაია, გელა აბულაძე და ჭოლა ჭანტურია), რომლებიც სამჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკზე.

მათგან დუბლი 17 წლის ირაკლი საკანდელიძემ შეასრულა, რომელიც ორი წლით უფროსთა შორის ჯერ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში იყო საუკეთესო, ხოლო შემდეგ ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში გახდა მესამე პრიზიორი.

კიდევ ერთი „ბრინჯაო“ 14-წლამდელ გოგონებში მარიამ შანიძემ მოიპოვა, რომელმაც III ადგილი ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში დაიკავა.

კობა კობახიძე

◎ მარადიული დღე-სასწაული

რაც დავიწყებით არ იბინდების...

მოახლოვდა 13 მაისი — თარიღი, რომელიც გენიალური ნოდარ ახალკაცისა და მისი გაწვრთნილი თბილისის „დინამოს“ მიერ ქართული ფეხბურთის დიდგორად და საფეხბურთო გაზაფხულის მარადიულ დღე-სასწაულად იქცა.

შეგახსენებთ, რომ 1981 წლის ტრიუმფამდე ჩვენმა საამაყო ბიჭებმა ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიცილეს გზიდან ბერძნული „კასტორია“ — 0:0, 2:0, ირლანდიური „უოტერფორდი“ — 1:0, 4:0, ინგლისური „ვესტ ჰემი“ — 4:1, 0:1, ჰოლანდიური „ფეიეენოორდი“ — 3:0, 0:2 და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ გამართულ დაუვიწყარ ფინალში 2:1 სძლიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენის „კარლ ცაისს“.

უპრიანი იქნება ისიც დავსძინოთ, რომ, მართალია, ანგარიში მეტოქემ გახსნა (ჰოპე), მაგრამ მალევე გუცაევმა შენგელიას გადაცემით ანგარიში გაათანაბრა, ხოლო საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე ვიტალი დარასელიამ საუკუნის გოლით დააგვირგვინა მოედნის ცენტრში დავით ყიფიანის მიერ წამოწყებული კომბინაცია.

მატჩის შემდეგ უეფას პრეზიდენტმა, იტალიელმა არტემიო ფრანკიმ დინამოელთა კაპიტან ალექსანდრე ჩივაძეს თასების მფლობელთა თასი გადასცა, ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს მედლები ჩამოურიგა, ხოლო სპეციალური პრიზი გადამწყვეტი ბურთის ავტორ ვიტალი დარასელიას გადასცა.

ბუნებრივია, საზღვარი არ ჰქონდა ქართველ ტურისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფის სიხარულს, რის შესახებაც მეორე დღეს ერთ-ერთმა გერმანულმა გაზეთმა დაწერა: **„ქართველებმა ჯერ მოედანზე, შემდეგ ტრიბუნაზე, ბოლოს კი გასახდელში ნამდვილი ფოლკლორული ფესტივალი მოაწყვესო“.**

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, პირდაპირი ტელერეპორტაჟის უფლება 22-მა ქვეყანამ შეისყიდა. ხოლო ვიდეოჩანაწერის გადაცემის უფლება — 33-მა, რაც იმ პერიოდისათვის უპრეცედენტოდ დიდი ინტერესის გამოხატულება გახლდათ.

დინამოელთა შემადგენლობა: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი — იტალიელი რიკარდო ლატანცი.

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია განსაკუთრებულად გამოვყოთ მაშინდელ ტრიუმფში **შოთა ხინჩაგაშვილის** მიერ შეტანილი წვლილი, რომელიც ფინალურ მატჩში გაფრთხილებების გამო არ თამაშობდა.

და კიდევ: 1981 წლის 13 მაისი მოედნის გარეთ განვითარებული მოვლენებითაც დაამახსოვრდება თაობებს. მაგალითად, კოტე მახარაძის ძარღვიანი წინადადებით — „პრედსტავლიაიუ, ჩტო ტვორიტსია ვ ტბილისი, ლიკუეტ სტალიცა გრუზიი“, მასაჟისტ ანზორ გაბიტაშვილის მიერ მსაჯისთვის წართმეული ისტორიული ბურთით, საზეიმო დახვედრით თბილისის აეროპორტში, ერთ-ერთი გულშემატკივრის მიერ ვიტალი დარასელიას „ცაციაზე“ ამბორით, საყოველთაო სიხარულით დედაქალაქის ქუჩებსა და რეგიონებში. მოკლედ, მთელი საქართველო ზეიმობდა თანამემამულეთა უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას.

მადლობა ლომკაცებს ამისათვის!..

ბეჟან ჩხეიძე,
ზესტაფონიდან

◎ იმედი

ფალავანთა 17 გაელვება

საქართველოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებებმა ბუქარესტში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე 17 მედალი მოიპოვეს და ინდივიდუალური პირველობის გარდა, საერთო გუნდურ ჩათვლაშიც მიაღწიეს წარმატებას.

„კლასიკოსთა“ 10 წონითი კატეგორიიდან 5-ში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. ფრიდონ აბულაძე (55 კგ), დიეგო ჩხიკვაძე (60 კგ), ოთარ აბულაძე (72 კგ), ბექა გურული (82 კგ) და გიორგი ქაცანაშვილი (87 კგ), ხოლო ლერი აბულაძე (63 კგ), კოკა ღარიბაძე (97 კგ) და რობიზონ ესაძე (130 კგ) „ბრინჯაოს“ დაეუფლნენ.

„თავისუფალთა“ ანგარიშზე 9 ჯილდოა — 1 „ოქრო“, 2 „ვერცხლი“ და 6 „ბრინჯაო“. ტურნირი წაუგებლად ჩამთავრა ოთარ ბაგაურმა (70 კგ), თეიმურაზ ბერუაშვილი (74 კგ) და ბაგრატ გაგნიძე (79 კგ) ფინალში დამარცხდნენ და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, მესამე საპრიზო ადგილები კი გიორგი გეგელაშვილმა (57 კგ), თორნიკე ქათამაძემ (61 კგ), გოგა მამიაურმა (74 კგ), გიორგი ნებურიშვილმა (86 კგ), დავით ქოჩქიანმა (92 კგ) და ვასილ ხვისტანმა (125 კგ) დაიკავეს.

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველა კონკურენტს აჯობა, ხოლო თავისუფლები მესამე ადგილზე გავიდნენ.

ამ ასაკობრივ ჯგუფში მოჭიდავეებს 3-9 ივნისს ევროპის ჩემპიონატი ელით, რომელსაც ესპანეთის ქალაქი პონტევედრა უმასპინძლებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ბილიარდი

აქაც ტრამპი



ინგლისელი ჯად ტრამპი 2011 წელს გაიცნო სნუკერის სამყარომ, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ვეტერან შოტლანდიელ ჯონ ჰიგინსთან დათმო.

და აი, 8 წლის შემდეგ რევანში შედგა — ამერიკის პრეზიდენტის მოგვარე, რომელიც აქამდე ორჯერ იყო ნახევარფინალისტი და ამდენჯერვე მეოთხედფინალისტი, პირველად ავიდა ოლიმპზე და ჯილდოდ 500 ათასი გირვანქა სტერლინგი დაიმსახურა. 29 წლის ტრიუმფატორამდე სეზონში მილიონზე მეტი აქამდე არცერთ მოთამაშეს არ გამოუმუშავებია.

რაც შეეხება მეტოქეზე გაცილებით ტიტულოვან სკოტს, ზემოთ ნახსენები მეოთხე წარმატების შემდეგ მას უიღბლობა დასჩემდა და უკვე ზედიზედ მესამედ მოეცარა ხელი გადამწყვეტ ბრძოლაში.

დავძენთ, რომ ამჯერად იგი 9:18 დამარცხდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

საბაბად - ბეისბოლი

უბერებელი ამერიკელი მომღერალი და მსახიობი ჯენიფერ ლოპესი ერთ დროს ჩვენი პლანეტის უპირველს სექს-სიმბოლოდ ითვლებოდა. უნდა ითქვას, რომ დროთა მდინარებისა და რამდენიმე უიღბლო ქორწინების მიუხედავად, იგი პოპულარობასაც ინარჩუნებს და საზოგადო ინტერესსაც.

ბოლო ერთი თვეა, ჯეილო ამერიკის ბულვარული მედიის ფურცლებიდან არ ჩამოდის და ამის მიზეზი ბეისბოლის ყოფილ მოთამაშე ალექს როდრიგესთან გაჩაღებული და იგივე ბულვარული მედიის მიერ უკვე მრავალგზის გამხელილი ტრფიალებაა.

ჯენიფერ ლოპესი სპორტის სახეებიდან ყველაზე მეტად სწორედ ბეისბოლითაა გატაცებული და მუდამ ემეგობრებოდა მოქმედ თუ ყოფილ ვარსკვლავებს — ალექს როდრიგესთან რომანიც, როგორც ჯენიფერი ამბობს, მეგობრობით დაიწყო და ბოლოს ისეთი ამბებით დასრულდა, ეგ რომ აღვწეროთ, მთელი გვერდი არ გვეყოფა.

გიორგი შოთაძე

ნარკოტიკების ინტერნეტრეალიზატორები ერთი ოჯახის წევრები იყვნენ

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტერნეტით ნარკოტიკების რეალიზაციის მასშტაბური სქემა გამოავლინა. აღნიშნულის შესახებ სამინისტროში ბრიფინგი გაიმართა:

„შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს აქტიურ ბრძოლას ნარკოდანაშაულთან, მათ შორის არაერთი ქვეყნის წინაშე მდგარ, ისეთ გლობალურ გამოწვევასთან, როგორიც ნარკოტიკების ინტერნეტით გასაღებაა.

2019 წლის პირველი იანვრიდან დღემდე სამინისტრომ ნარკოდანაშაულისათვის პასუხისგებაში მისცა 676 პირი.

პოლიციამ საქართველოში ინტერნეტით ნარკოტიკების რეალიზაციის კიდევ ერთი მასშტაბური სქემა გამოავლინა. დაკავებულია 7 პირი.

აღსანიშნავია, რომ დაკავებულთა შორის, 4 ბრალდებული ერთი ოჯახის წევრია: დედა, მამა და 2 შვილი. 7-კაციანი ორგანიზებული ჯგუფი წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა. კერძოდ, ისინი ინტერნეტით ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციას. ჩატარებული მასშტაბური ოპერაციის შედეგად, ორგანიზებული ჯგუფისგან ამოღებულია 2 125 შეკვრად დაფასოებული სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება. შვიდივე დაკავებულს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით ისჯება...

რამდენიმე თვის განმავლობაში განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირებმა, ინტერნეტ-პლატფორმა „მატანგა“-ზე დაარეგისტრირეს მაღაზია სახელით „MEGASHOP“, რომლის მეშვეობითაც ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას. კერძოდ, ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს მცირე შეკვრებად აფასოებდნენ, თბილისში სხვადასხვა მისამართზე, სამალავებში ათავსებდნენ, ფოტოებს უღებდნენ და შესაბამისი აღნიშვნებით და კოორდინატებით ნარკოტიკული საშუალების შემძენ პირებს უგზავნიდნენ, ხოლო თანხა ვებ-გვერდ „მატანგა“-ს ანგარიშზე ერიცხებოდათ.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი სახლის და ავტომანქანის ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერება ნივთმტკიცებად ამოიღეს. ამოღებულია: 2125 შეკვრად დაფასოებული სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერება და აბები: „მდმა“, „მეტამფეტამინი“, „ამფეტამინი“ და კოკაინი. გარდა ამისა, ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ავტომანქანები, დიდი ოდენობით ფულადი თანხა, მობილური ტელეფონები და კომპიუტერული ტექნიკა, რომლითაც ისინი ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას. პოლიციამ, ბრალდებულების მითითებით, თბილისში სხვადასხვა ადგილიდან სარეალიზაციოდ დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღო“.

ქმრის მიერ დაჭრილი 76 წლის ქალი გარდაიცვალა

სოფელ ყანდაურაში, ქმრის მიერ დაჭრილი 76 წლის ელზა გამყრელიძე გარდაიცვალა. იგი 85 წლის ქმარმა თავის არეში დაჭრა. ის თავდაპირველად საგარეჯოს საავადმყოფოში მოათავსეს. მდგომარეობის სიმძიმის გამო კი თბილისში, შპს „ტრავმატოლოგში“ გადაიყვანეს.

85 წლის ომარ გამყრელიძემ შვილი, რძალი და ორი მეზობელი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა, საწოლს მიჯაჭვული ცოლი კი დაჭრა.

დაკავებული არიან თაღლითები



„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე დაკავებული იქნა 2 პირი.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, ქალაქ თბილისში, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, სისტემატურად ამზადებდნენ და ასაღებდნენ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისა და სამართალდამცავი უწყების ავტომანქანების ყალბ საშვებს, რომელიც მფლობელს აძლევდა უფასო პარკირებისა და გარკვეულ დაცულ ტერიტორიებზე შესვლის უფლებას.

დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 3-დან 6 წლამდე.

ბელიაშვილზე ავტობუსის მძღოლი დაჭრეს

თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე ავტობუსის მძღოლი დაჭრეს, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი. მამაკაცი ცივი იარაღით ფეხის არეში არის დაჭრილი.

თვითმხილველების თქმით, შემთხვევას წინ უძღოდა ურთიერთშელაპარაკება, რომელიც საცობში დაიწყო და „მერსედესის“ მარკის ავტომობილის მძღოლმა ავტობუსის მძღოლი დაჭრა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით კონფლიქტში მონაწილე მძღოლი უკვე დაკავებულია.

გახსენება

ძმურად მოსაგონარი

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო... ვითომ?

კიდევ ერთი წელიწადი გავიდა შენი გარდაცვალების შემდეგ, მკურნალის რა მოგახსენოთ, მაგრამ გაუყუჩებელი ტკივილი და მონატრება რომ მოგვეძალა მეგობრებს, ცხადზე უცხადესია. გვენატრება შენი კაცური გვერდზე დგომა, დაუყვედრებელი სიკეთე და ნათელი ღიმილით განათებული უღალატო ერთგულება, რადგან ნათელი ღიმილი ვახსენეთ, ერთ-ერთი ჩვენგანის ლექსის სტრიქონებით მოგეფერებით:

თემურ, ვფიცავართ შენს ნათელ ღიმილს,
ვაუკაცურ ძალას, ძლიერს, არნახულს,
თანდათან უფრო რომ გვაახლოებს,
იმიტომ ვლოცავთ ყველა გაზაფხულს.

დემური, სეფე, ზურა, დათო, ომარი.

განცხადება

2019 წლის 28 მაისს დღის 12 საათზე ტარდება სააქციო საზოგადოება „ლაღიძის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2018 წლის ბალანსის განხილვა;
2. 2018 წლის მოგების განაწილება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა.

მისამართი: მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. №150.

სს „ლაღიძის“ დირექცია

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ისნის სავანე“-ს ს/№206287917 წევრებს

2019 წლის 18 მაისს, 12:00 საათზე, ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №92-ში მდებარე სასტუმრო „ბესტ ვესტერნი“-ს საკონფერენციო დარბაზში ჩატარდება ამხანაგობა „ისნის სავანე“-ს დამფუძნებელ წევრთა განმეორებითი კრება, რაშიც მონაწილეობას მიიღებს ამხანაგობის გამგეობაც.

დღის წესრიგი: ამხანაგობა „ისნის სავანე“-ს მიმართ არსებული შპს „სიმპატია“-ს და სხვა პირების სასამართლო დავების და სავარაუდო კრედიტორთა შესახებ ანგარიში და აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

დასწრება და მონაწილეობის მიღება სავალდებულოა.

იმ შემთხვევაში, თუ არ გამოცხადდებით კრებაზე, იგი იქნება უფლებაუნარიანი გადაწყვეტილების მისაღებად.

პატივისცემით

ამხანაგობის თავმჯდომარე
მარიამ შპორტი

წითელუბნელებს ოსებმა საქონელი დაუბრუნეს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელუბნის მცხოვრებლების კუთვნილი მსხვილფეხა პირუტყვი ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადავიდა. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ამის გამო სოფელში პანიკა შეიქმნა, რადგან, ადგილობრივებს ეგონათ, რომ საქონელს ვეღარ დაიბრუნებდნენ. თუმცა, მოვლენების განვითარებამ საპირისპირო შედეგი აჩვენა, საქონელი ოკუპირებული წინაგარას ნაკვეთებიდან ადგილობრივმა ოსებმა გამორეკეს.

„გადავიდა ნახირი ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ბუნებრივია, ხალხი შეშინდა. ოსებმა გამორეკეს აქეთ და ყველაფერი კარგად დამთავრდა“, – უთხრა „ნიუპოსტს“ მერიის წარმომადგენელმა როინ ადიკაშვილმა.

თბილისში მწერალთა სახლი გაქურდეს

თბილისში მწერალთა სახლი გაქურდეს – არსებული ინფორმაციით დაიკარგა დავით სარაჯიშვილის კუთვნილი ნივთები, მათ შორის ზარდახშა და რამდენიმე ლარნაკი.

აღსანიშნავია, რომ მწერალთა სახლის თანამშრომლებმა დანაკლისი მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმის გახსნისთვის მზადება დაიწყეს.

მწერალთა სახლის დირექტორის განმარტებით, შენობას დიდი ხნის განმავლობაში სახელმწიფო დაცვის სამსახური იცავდა, თუმცა მომსახურების გაძვირების შემდეგ თანხის გადახდა ვეღარ შეძლეს, რის გამოც კერძო დაცვა აიყვანეს.

„აღმოჩნდა, რომ ეს არის ჩვენივე დაცვის წევრი, რომელსაც ებარა ეს ყველაფერი. ვიცით მისი სახელი, გვარი,პირადი ნომერი, მაგრამ ვერ ვპოულობთ“, – ამბობს მწერალთა სახლის დირექტორი ნატა ლომოური.

კუნძული ელექტროენერგიას ოკეანიდან მიიღებს

ოკეანის ენერგია – მოქცევები და მიქცევები, ტალღები, ეს ელექტროენერგიის უშრეტი და ეკოლოგიურად სუფთა წყაროა, რომელსაც კაცობრიობა ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ იყენებს.

საფრანგეთის კუნძული უესანი, რომელზეც 842 ადამიანი ცხოვრობს, დღემდე ელექტროენერგიის მისაღებად დიზელის საწვავს იყენებდა. ის ევროპის კონტინენტიდან ყველაზე დასავლეთით მდებარე კუნძულია და მასთან მისასვლელად ბორანით საათ-ნახევარი მგზავრობაა საჭირო. შესაბამისად იგი მოწყვეტილია საფრანგეთის ელექტროსისტემას და ავტონომიური ელექტროენერგიის წყარო სჭირდება.

კუნძულის მერის დენი პალუელის განცხადებით, უახლოეს მომავალში კუნძული ელეტროენერგიას ოკეანედან მიიღებს და 10 წელიწადში მთლიანად ამ სისტემაზე გადავა.

უესანის სამხრეთ დასავლეთით ზღვის მოქცევის ერთ-ერთი მძლავრი დინებაა. სწორედ აქ დააყენა ფრანგულმა კომპანია Sabella-მ თავისი ექსპერიმენტალური გენერატორი ზღვის ფსკერზე, 55 მეტრის სიღრმეზე. გენერატორი ოკეანის ტალღებს ელექტროენერგიად გარდაქმნის და წყალქვეშა კაბელით კუნძულს მიაწვდის. მუშაობის პრინციპი მარტივია – მიქცევისა და მოქცევის, ან ღელვის დროს ტალღები როტორს ატრიალებენ, რომელიც ელექტროგენერატორს ამუშავებს.

სისტემა 310 ხუთსართულიანი სახლის სიმაღლეა. იგი 2018 წლის ოქტომბერში დაამონტაჟეს და სპეციალურად ისეა გათვლილი, რომ ექსტრემალურ პირობებს გაუძლოს. ორწლიანმა საგამოცდო პერიოდმა უნდა დაადასტუროს მისი სანდოობა და გამძლეობა.

კომპანიაში აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში, ტექნოლოგიას კიდევ უფრო გააუმჯობესებს და გამომუშავებული ელეტროენერგიის ფასი სწრაფად მიაღწევს კონკურენტულს.

მათი აზრით, ოკეანის ენერგიის გამოყენებას დიდი მომავალი აქვს და ტექნოლოგიური პროგრესი საშუალებას მისცემს ინჟინრებს, რომ 2050 წლისთვის 100 გიგავატ სიმძლავრემდე ავიდნენ. ეს კი ნიშნავს, რომ ელექტროენერგიის ამ უშრეტი და ეკოლოგიურად სუფთა წყაროს მეშვეობით 76 ევროპული ოჯახი – ევროპის 10%, მომარაგდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ჯესი ჯეი „ბლექ სი არენაზე“ კონცერტს გამართავს

პოპულარული ბრიტანელი შემსრულებელი ჯესი ჯეი (Jessie J) საქართველოს ესტუმრება და 6 აგვისტოს „ბლექ სი არენაზე“ კონცერტს გამართავს.

ჯესი ჯეის მსოფლიოს მასშტაბით 3 მილიონი ალბომი და 20 მილიონი სინგლი აქვს გაყიდული.

ჯესი ჯეი წელს მსოფლიოში მოგზაურობს და მსმენელს როგორც ძველ, ასევე უახლეს ჰიტებს უზიარებს. ამ პროგრამით წარდგება ის „ბლექ სი არენას“ მსმენელის წინაშეც.

ბილეთების გაყიდვა დაიწყება 8 მაისს, საღამოს 20 საათზე საიტებზე: TKT.ge და Eventer.ge.

ჟესტების ძალა

ბრიტანელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ჟესტების ენის ფლობა კარგი სმენის მქონე ხალხსაც უპირატესობას ანიჭებს.

შეფილდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ ენაზე „მოლაპარაკე“ ადამიანებს სხვებთან შედარებით უფრო კარგად განვითარებული პერიფერიული მხედველობა და უფრო სწრაფი რეაქცია აქვთ.

ყრუ ადამიანები გამღიზიანებლებზე კიდევ უფრო სწრაფად რეაგირებენ და მხედველობაც უკეთესი აქვთ, რაც კიდევ ერთხელ ამაგრებს პოპულარულ აზრს იმის თაობაზე, რომ ხუთიდან ერთ-ერთი გრძნობის უქონლობის შემთხვევაში მისი კომპენსირება ნაწილობრივ სხვების ხარჯზე ხდება.

შურის საბაბი

ლატარიაში მოგებული ხალხის მეზობლები ხშირად კოტრდებიან.

მკვლევარებმა გააანალიზეს, თუ გამარჯვებულთა გარემოცვა მოგების შემდეგ როგორ იცვლებოდა. აღმოჩნდა, რომ მათი ნათესავები და მეზობლები ვალებს საშუალოსტატისტიკურზე გაცილებით ხშირად იღებენ; ფულს მეტად რისკიან საქმეებში აბანდებენ და უამრავ არასაჭირო ნივთს ყიდულობენ, რაც მათი გაკოტრების შანსებს ბევრად ზრდის.

როცა თვალებს ცხატავთ...

წამწამების ტუშის ხმარება მისი გახსნიდან ოთხ თვის შემდეგ არ შეიძლება, იმის მიუხედავადაც კი, თუკი შეფუთვაზე ვარგისიანობის სხვა თარიღია მითითებული.

საქმე ისაა, რომ შესაძლოა, ვადაგასული კოსმეტიკა სახიფათო მიკროორგანიზმების წყაროდ იქცეს და თვალში მოხვედრისას ალერგიული რეაქციაა და კონიუნქტივიტი გამოიწვიოს. სტრუქტურის ნებისმიერი შეცვლისას ტუში უნდა გადააგდოთ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ჩიქობავას ქ. №42/5.
599 79-76-79; 568 82-09-84

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით
განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.
გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.
ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.
(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7083; ევრო - 3.0319;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5506;
100 რუბლი - 4.1604; თურქული ლირა - 0.4514;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5929;
1000 სომხური დრამი - 5.6235.

ამინდი 8 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge